

რამეთუ ქატი ვარ.

(დასასრული *)

XV

ხელახლად მოისმა სირონას ხმა. „უკუვლია, სირონას ხმაუ-
რება გაგვრემს,“ იფიქრა ჰაკლემ, წამოვიდა სირონასაკენ და ჩქა-
რის ნაბიჯით შეუდგა აღმართს.

„აღდეს კი, მე ვგონია, იმ თამამმა ვაჟბატონმა აღარა იკად-
რის რა, — ბუტბუტება თავის-თავად ჰაკლე: იქნება ხელახლა რადგა-
ნაც ჯერჯი ნიშნები მოაგონებენ ჩემს თავს. საკვირველია, რომ ძნე-
ლად ავიწუდება კაცს, რაც ოდესმე ჭსტოდნია! ის ზურგული, რომ-
ლითაც მე დავეც პოლიკარზი, დელოვისაგან შეჩნდა ნასწავლი, —
და მას აქედ რამოდენი ხანია გასული! დიას, ჯერ ტყინი არ ამომ-
შრამის და მე ამას დაუშტვიტებ ჩემის მუშტებით იმ გათამამებულს
ვაჟბატონს, თუ გაბედა და ორად სამიოდ თავის მგზავსი კაცი
მოიყვანა მეშველად!“

დიდსანს არ დაჭსტაღდა ჰაკლეს ამ ფიქრებში გართობა: მღვი-
მისაკენ მიმავალს ბილიყსედ წინ შეეშტვა სირონა.

— პოლიკარზი რაღა იქნა? დაუძახა სირონამ ჯერ კიდევ შო-
რდამ, თვალი მოჭკრა თუ არა ჰაკლეს.

— უმანვე გავისტუმრე, — მიუგო ჰაკლემ.

— დაგიჟერა და გაბრუნდა?

— ზოგიერთი ყუათიანი საბუთები ვინძარე, უძასუხა ჰაკლემ.

— ხომ კიდევ მოვა?

*) ივერია № 48. 1878 წლის.

— ჯერ არა მგონია, რადგანაც რაც სსჭირთ იყო, ჩემგან ყველაფერი გაიგო. ესლა ჩვენ უნდა მოვიფიქროთ შენს წასვლასად აღუქსანდრიაში.

— მე ვი მგონია, — უპასუხა სირიანამ და აწითლდა: რომ ამ მღვიმეშიაც არაფერი შემიზუსტეს, აქაც კარგად ვიქნები. თვითონ შენც გითქვამს ეგ ამას წინად...

— მე მარტო გაფიქრებდი აღუქსანდრიაში ყოფნის თაობაზედ, გააწვევტინა სიტყვა ჰაკლემ: — ესლა ვი მე მომავლანდა შენთვის ერთი კაი ბინა და საძიებლო მრგველი. აი შინაც მოკედით. მღვიმეში შედი, თორემ შენი ძახილი უცხო კაცის ყურამდე მისწევდა და თუ სხვათა შეუღაბნეთა შეიტყუეს შენი აქ ყოფნა, ძალად წამაყვანიებენ შენს თავს შენს ქმართან.

— ესლავ შეკალ, — ჰსთქვა ოხრონამ: ჯერ ერთი ეს ამისხენ, მე რომ თქვენი ღაპარაკი სულ შესმოდა, — ხელახლად წამაწითლდა სირიანა: ეს როგორ მოხდა, რომ გერმანის ტყაპუჭი ფეხბინი შენათ იტნო და შენც თავი არ გაიმატლეთ და ტყუილ უბრალოდ ეცემინე.

— იმიტომ მოხდა, უპასუხა ჰაკლემ: რომ ჩემი მხარ-ბუჭი უფრო განიერია, ვიდრე იმ ახოგან ვაჟ-ბატონისა. ესლა ვი ბოდიშს ვინდი და მეჩე ვი, როცა უფრო გულ-დაწუნარებით ვიქნებით, ყველაფერს დაწვრილებით გაიმზობ. ჯერ მღვიმეს შეეფარე, თორემ საქმეს სულ გამიფუჭებ. მე ვიცი რომ მას აქედ რაც სენატორის შეილის საუბარი გაიგე, ერთს რასმეს ნატრულაბ.

— აბა რას? ჰკითხა სირიანამ.

— სარკეს, — გაუტინა ჰაკლემ.

— რა რიგად ჰსცდები! უპასუხა ქალმა და მღვიმეში მიამაკლამა გაიფიქრა: „აი, ვისაც პოლიკარში იმ თვალთ უფურქებს როგორც მე, თავის დღეში სარკეს არ ინდომებს.“

მთას იქით ჩასვლეთისაკენ, მეთევსეების სოფელში ერთი მოხუცებული სოკდაკარი ურია იდგა. იგი ეგვიპტეში ჰგზავნიდა ხელმე

ნახშირისა გასასვიდლად და ერთს დროს ჰავლეს მამასთანაც გაჭრობა ქქონია, რადგანაც მის ქარხანებს ეს უგზავნიდა ნახშირს, და არა ერთხელ თვითონ ჰავლესაც ამასთან საქმე დაუჭერია. ეგ ურია იყო ტკვიანი და შეძლებული კაცი. რამდენჯერაც შეჭნუდრია ჰავლეს, იმდენჯერ უყვედრებია, რად გაუდგო წუთის სოფელსაო, იწვევდა თავისთან და ეუბნებოდა, აი ჩემი ქონება, როგორც გინდა ისე მოიხმარე. აი ეს ურია იყო ის კაცი, რომელსაც გემი უნდა ემოკნა და სიჩრანს გაესტუმრებინა ალექსანდრიაში.

რამდენსაც ჰავლე ჭიუჭირობდა სიჩრანს წავლასზედ, იმდენად გული ეუბნებოდა, რომ უნდა მე თვითონ გავაწილოო სიჩრანს ალექსანდრიაში, მივიყვანო და მე თვითონ აუხინოო სანიშნო ბინაო. იცოდა, რომ თავისუფლად შეეძლო მოეხმარებინა განუხრამელი სიმდიდრე თავის ძმისა, მით უფრო რომ ნახევარი თვითონ ჰავლეს ეკუთვნოდა. აი რამდენი წელიწადი გასულა და ესა პირველად იგზმნა სიჩრული მისი, რომ შეძლება აქვს. დაიწყო ფიქრი მასზედ თუ როგორ მოუმზადებს და მოურთავს სადგურს მშენიერს სიჩრანს. ჯერ ამბობდა გულში ერთი უბრალო, მაგრამ ფაქიზი ბინა უნდა ამოგურჩიოო, მერე კი თან-და-თან ფიქრად მოუვიდა სახლის მორთვა ბრწყინვალეს რქოთი, თეთრის და ვარდის ფერის მარმარილოთი, მრავალ-გარის ძვირფასის საფენითა, მშენიერის მხატვრობითა და ლუსუშუქებითა.

ამ ფიქრებში გართული დადიოდა წინა და უკან; ხშირად განებრდებოდა ხოლმე მღვიმეს კარებთან, საცა სიჩრანს იყო. ერთხელ თვალი მოჭკრა მის ფერ-ღაა კაბას და ჭსოქვა, რომ ამ კაბით არ უნდა ეჩვენოს იგიო არავის. რომ უოკელივე კვალი დაუგარგოს ფეხბიცის და ჰოლიკარხს, ამისათვის უბრალო კაბა უნდა ემოკნა და პირ-ბადე, რათა იმის ქვეშ დაუმალოს ბრწყინვალე თმა და თეთრი პირის სახე, რომლის ძეგავსი თვით ალექსანდრიაშიაც ძნელად მოიპოვებოდა.

იმი ადგილიდამი საცა ჰავლე იდგა ამ უამად, ჰატარა მოშორებით იყო ქონი ამალიკოტელისა, რომელმაც ორიოდე ჯერ თხის რძე მიჭ-

სტა ჰავლეკ სირიანასათვის ამ კაცის ცოლისა და ქალისაგან ჰავლეკმ განიზრახს სუიდაჲ რაც საჭირო იყო სირიანასათვის. ბეერი აღარ უთუქრია, და გასწია იმათკენ, თუმცა ცა მთიდრებულა და სამხრეთი-დამ თბილი სუფთა-მხუთავი ქარი ადგა.

მზე გადაიწურა და მანც კიდევ ზიცხის ბუღი იდგა ჰავრში. ჰავლეკ უური არ ათხოვა ამ ავდრის ნიშნებსა, მივიდა მღვიმესთან, დაუძახა სირიანას, მე ესლავ მოკალა და გასწია სწრაფის სიარუ-ლითა.

სირიანამ გზა მშვიდობისა უთხრა ასე, რომ არც კი მოჰხედა ჰავლეკს, რადგანაც ძალიან იამა მარტოდ დარჩენა. მიჰსწედა ჰავლეკს ფეხის ხმა თუ არა, სირიანა ხელახლად განიტაცა იმ ძლიერმა და უძლეველმა გრძნობამ, რომელიც გულში გაუღვიძა მას ცეცხლ-მოკი-დებულმა ლაშაჩაგმა პოლიკარპისამ.

ჰავლეკ ამ უკანასკნელ დროს შენანდრით გადაქცა, ხალა ეს ქა-ლი კი, ეს მღვიმეში მარტოდ დამწუკლეული არსება, ეს ცოლი ფე-ბიცისა, რომელიმაც ამღვენი შრომა მიაყენა ჰავლეკს, უფრო ძლიერ გამოიცვალა.

ეს სირიანა იყო, მაგრამ უწინდელი სირიანა კი აღარ. როცა შეუდაბნოემ ურჩია მღვიმეში შესულა, სირიანა სიხარულით დაემო-ჩილა: თვითონვე უნდოდა მიმამულიყო სადმე, რომ მარტო, სრუ-ლიად მარტო დარჩომილიყო, რადგანაც ჰგრძნობდა, რომ მის გულ-ში რაღაც ამბავი მოხდა, რაღაც დიდებული და გაუგებარი; ჰგრძნობ-და, რომ მის გულში რაღაც ჩანსხა, რაღაც იმისთანა, რის გამოთ-ქმაც სიტყვით ვერ მოკხეჩხებინა, ჰგრძნობდა კი რომ ის რაღაცა ძლიერი რამ არის, უქადის სიცოცხლეს, სავსეს ამოგნებითა, და მღელვარებითა. ის რაღაცა მას ეუცხებოდა, ამასთანავე ისეთი ტკი-ლიც იყო, ისეთი მიმზიდველი, ისეთის ნეტარებით აღსავსე, ისეთი მწვავი, ისეთი უხომოდ მომხიბლავი! რაღაც მღელვარებამ შეიპყრა მთელი მისი არსება და ეგონა, რომ ახალმა, უფრო წმინდა სისხლმა დაუწყო ძაღვებში დენა მას აქედ, რაც უური მოჰქვია პოლიკარპის

ცხარე ლაშაჩასა. ყოველი ძარღვი უთრთოდა, როგორც ფოთოლი, როცა ნიაკი ჰქსტვის. ამ ყოფაში ვერ დაუგდებდა რიგიანად ყურს შავ-
ლეს ლაშაჩას და ვერ მიჰსტებდა რიგიანს ვასუსს.

ღარჩა მარტო თუ არა, მაშინვე მიჯდა თავის ქვეშაგებზედ, მუხ-
ლზედ დაიყრდო მკლავი, მკლავებზედ თავი დაახვინა და წასქდა თვალ-
თაგან ცხარე ცრემლი ორტოტად. ამ ცრემლებმა გაუნეჯეს ისმხურ-
ვალე გულის-თქმა, რომელიც უფრო და უფრო ცეცხლს უვიდებდა.

აგრე თავის დღეში არ უტირნია!

ბეწვის ოღენა ტკივილი, ბეწვის ოღენა სიმწარე არ ერია იმ
წმინდა და გამაგრილებელ ცრემლთა ცვარში. მის გულში გადიშდა
რადაც საუცხოვე ყვაილი აქამდის უცნობ სიუხვითა და სიტუროვითა.
როცა ბოლახს ცრემლი სრულად ამოეწერა გულიდან, დაუამდა გული და
გაუნათლდა სხივლანის ნათლითა. დიას, სიკრანა იმ წამს იყო
უბედურიც და ამასთანავე უბედნიერესი დედა-ჩაციც!

„ეს სიყვარულია,“ გალობასავით, ჩანგის ბგეკასავით ხმა-
რობდა ეს სიტყვები მის გულში. მოაგონდა უწინდელი დრო და
ყველა უწინდელი თავისი თავყანის-მცემელი, რომელიც ეტროფილ-
ბოდნენ ჯერ კიდევ როცა ბავშვი იყო არელასში და მერე რომში
ქრმის შერთვის შემდეგ. ყველა ისინი ჩრდილნი იყვნენ წვრილის
სანთლებით ხელში პოლიკაჩვის წინაშე, რომელიც წინ მედიდურს მზეს
მოემძღვარებდა.

„რაც ქვეყნიერობაზედ ხაზნია, რაც მეფენი არიან, — ამბობდა სი-
კრანა: სულ რომ ყველამ თავისი საუნჯე მომიტანოს და ფეხ-ქვეშ გამო-
ფინოს, მაინც ისე ვერ გამამდიდრებდნენ, როგორც იმან გამამდიდრა.
რაც ვარსკვლავებია რომ სულ ჩამოცვივდნენ და შეაჯგინონ ერთი მნა-
თობი, მაშინაც მათი შუქი ისეთი ბრწყინვალე არ იქნება, როგორც
შუქი იმ სიამოვნებისა, რომელიც მე ესლა გულში მაქვს. ესლა რაც
მოკა მოვიდეს, — ამას იქით მე აღარას ვიჩივლებ.“

შემდეგ გაიხსენა ყოველი შემთხვევა როცა კი ენახა პოლიკაჩვი,
გაიხსენა რომ არასოდეს პოლიკაჩვის ერთი სიტყვაც არ წასცდენია
თავის სიყვარულის თაობაზედ.

კბ თავის შემავრება წა ძვირად დაუჯდებოდა! ის აზრი რომ თვითონაც წმინდაა და ღირსია პოლიგამიისა, სიბრძნის გულს უგსება და უხომო თავ-მოწონების გრძნობითა და მადლითა. თითქო ამ აზრისა გამო ფრთა გამოება იმ სიყვარულს, რომელიც მიჭმანთა მანტო ერთს კაცს მთელს ამ ქვეყნიერობასზედ, — სიყვარულს მადლს, წმინდას, რომელიც შექმნა სარწმუნოება და ხატად თავუანებისა და ღატვისა.

გული ძლიერ უცემდა, ხელნი განუზერენ თითქო მთელის ქვეყნის მოხვევას უნდაო, თითქო უნდაო ყოველს სულდგმულს, ყოველს ქმნილებას ამ დედა-მიწის ზეგზედ თავისი მადლი და სიყვარული გამოუცხადდესო. მის სულს ჭსწუროდა მადლის გადსადა წინაშე უმაღლესისა და მოწყალე ანსებისა, რომელმაც მოანიჭა ამოღენს ნეტარება.

მოატონდა, რომ ამ წინაშედ პაულე უჩჩეკდა, თავუანი ეც ნათელ-ღებულს ღმერთს ქრისტიანობისასაო, რომელიც თანასწოროდ განაზრცობსო ყველასზედ თავის ღვთაებრივსა სიყვარულსაო. ამავე ღმერთს ღატვულობს თვით პოლიგამიც, ჭთიქრობდა სიბრძნის: იქნება ამ უამადაც და თუ მეც ვიღატებო, ჩვენი ღატვუბები შეერთდებინაო და მამინ ერთგან მამინც თანაზიარნი ვიქნები იმ საყვარელის კაცისა, რომელზედაც მე ასე მოცხს ვარო.

დაეცა მუხლებზედ, დაიკრიფა გულზედ ხელები ისე, როგორც ენას ქრისტიანთაგან და გაიხსენა იგი ანსება, რომელიც უდნანაშულოდ ეკეთის მოთმინებით იწამა, რატა ჭკარზედ ეკიდა სელ-ფებს დაღურსმული. გული ავესო დიდის ტვივილითა და თვალნი წე ამართა და ნელის ხმით ჭსთჭკა:

— „მე შენ მოტმართავ წამებულა, მოწყალეო ძეო ღვთისა: შენ უწეი რა მძიმედ ასატანია უსამართლო წყევა ადამიანთაგან და შენ ადვილად ჭსტნობ, რა რავად უნდა მტვივნეულობდეს ამით გული ჩემი!

„ხალა ამბობენ, რომ გუჯი შენი სასურველი განუზომელის სიყვარულითა და ამიტომაც მიმიხედები იმასაც, რომ მე, ამოდენა ტანჯვის მნასკელი, ვსადი ჩემს თავს უბედნიერეს დედა-კაცათ. თვითონ შენც, უსათუოდ, ამასვე ჰკმნობდი, როცა გაწვალდებენ შენ და შეგინებულ გუგოდენენ,—შენც ხომ სიყვარულის გამა წვალბულ იქმენ.

„იგინი ამბობენ, რომ შენ იყავ სრულიად წმინდა და უმანკო; მე კი, რასაკვირველია, ბევრი სულელობა ჩამიდენია, მაგრამ ცოდვებ კი, ჭკუშარიტი ცოდვა ჩემს დღეში არ მიქნია! ეს ხომ თვითონ შენ უნდა იცოდე,—შენ ხარ ღმერთი და ადამიანთა გულთა მხილავი. რასაკვირველია, მე განტრობი, სულთა და გულთა განტრობი რომ სწავლულ ვიყო უმანკოებით მოხილვი, მაგრამ რა გქნა, რომ მე ზოლი-კანებისა უნდა შევიქნე მამინ, როცა კანებით სხვას ვეკუთვნი?

„იგინა შესაძლელა ჭკუშარიტი მეუღლეობა იმ კაცთან, რომელმაც სწინაზღაობა გარყენილობით, რომელმაც უნამუსოდ სხვას მიმიყიდა? იგი ისე ეუცხოება ჩემს გულს, ისე ეუცხოება, თითქო ჩემს თავს თავის დღეში არ ენახოს. მანც კიდევ, მეწმუნე, მე ამისათვის ცუდი არა მინდა რა, მე მსურს მხოლოდ თავის დღეში იგი თვალთ ახარ ვინახულა.

„მოდვიკარბი ვი!... ჭლი, ნეტა ესაა აქ იყო!

„იმახ ჭსთქვა რომ მე იმის საკუთრება ვარ,—თუმცა ამისი მიზეზი თავის დღეში არ მიმიცია. მაგრამ ესაა ვი!... იმას რომ რამე ფართობი, ან მწინარება მოკლადეს, მე თუმცა მხელად ვიტან ტყვილს და სიკვდილისაც მეშინიან, მაგრამ მანც ვი ხმა ამოუღებელი ვიარს გავეტოდი, ლურსმით ზედ დავეჭურსმებოდი, თუ რომ იმითი დაჟისხნიდი მას, როგორც ჭქმენ შენ, რათა დავგინსნა ჩვენ ვიკვლენი.

„ხალა იმან უნდა იცოდეს ვი მამინ, რომ მე იმის გულთა-თვის ვკვდები. და როცა იგი თავის მშვენიერის თვალთ ჩამიხედდა ჩემს ტანჯობათ მიხედულს თვალბში, მამინ ვეტყვადი, ან როგორც ვიხედვისადაც შენი სიყვარული, რომელმაც უზომოდ უმადლისა სხვა

უკვლას სიყვარულზედ რაც კი ამ დღემდე მე მინახავს და გამომიცდია. ნუ თუ იგი, რაც ასრე უხომოდ უმაღლესისა უოკელს კაცობრიულზედ ღუთისაგან არ უნდა იყოს ზეგარდამო ჩაგონებული! ნუ თუ ამ კვარი სიყვარული ცოდვა უნდა იყოს! მე არ შემძლიან ამის პასუხის-გება, იმიტომ რომ არა ვიცი რა, შენ კი, ჭოი ძეო ღუთისავე, დმერთო ხარ და უნდა იცოდეთ. იგინი შენ კეთილ-მწყემს გიწოდებენ, მამ შეგვ-ყარე ჩვენ ერთმანეთს, ანუ გაგვამოძრე, — ერთის სიტყვით, ჩქმენ ის, რაც უმჯობესია პოლიკარპისათვის და თუ შესაძლას ერთმანეთი გაჩვენე ერთს სხათს მანც! მარტო ის მინდა შეგატყობინო იმას, რომ მე ისეთი ბოროტი არა ვარ; რომ სწყალოს სიროხნას სურდა მასთან შეერთება, მარტო მასთან და არავის სხვასთან. მინ-და მარტო ეს შეეტყო იმას და მერე თუნდა მომკვდარეიყავ კიდევ: კეთილად, ჭოი კეთილად მწყემსად, მიმიღე მეც შენს სამწყობო და წი-ნამძღვარ იქმენ ჩემი!“

გერე ილცრდა სიროხნ და ალერსით სავსე, მშენიერი სახე ჭა-ბუჯისა თვალ-წინ ედგა.

მოეჩვენა რომ შევიდა ვითომ პოლიკარპის ოთახში და დაიწყო მილაგ-მოლაგება, პოლიკარპი კიდევ თვალს აუოლებს ყოველს მის მოძრაობას და თვალს არ აშორებს. უცრად წამოვიდა სიროხნასაკენ, შედგა და... გაშალა ხელები რომ მოეჩვიოს. სიროხნა შეკრთა, დაი-ფანა პირის სახე და გულდაგდომით დაეცა მის გულზედ. წასქდა თვალთაგან სინანულის ცრემლი, გაშალა ხელები რომ ყელზედ მოეჭ-დოს საყვარელს კაცსა, მაგრამ ამ დროს ტბილი ოცნება უცრად გაუფთხა. რაღაც ნათელმა გაიუღვა მღვიმეში და განათლა სიბნელიე-ზედ მოჭყვა გრიალი ჭექა-ქუხილისა.

ოცნებიდამ გამოსული სიროხნ მივიდა მღვიმის კარებთან და გაი-ხედა. ბინდი მწყვდიად ღამეთ გარდაქცეულიყო, შავი ღრუბული მოჭ-ფენოდდა ცას და სხვილი წვიმა ბუილით მოდიოდდა. შავლე კი არსად ჭსჩანდა. უფრო და უფრო მოუხშირა ჭექა-ქუხილმა და ელვამ, უფ-რო და უფრო ბნელდებოდა. საშინელმა შიშმა აიტაცა სიროხნა და უწ-

ყოფნა უფრო მთასა, რომლის წვერები ბნელ ზეწარში შეხვეულნი, ხანდისხან განათლებოდნენ ხალმე, როცა ელვა გაიკლავებოდა ცაზედ.

ერთი-ერთმანეთზედ ცეცხლის ისრები გველებსავით მიიგრინებოდნენ შავს ღრუბლებშია, ერთი-ერთმანეთს მოსდევდა გრილი ტექა-ქუხილისა, თითქო უშველებელი ბუკია, ისე გაიხმაურებდა ხალმე, მეტე ერთი საშინლად დაიჭექებდა გრილით წავიდოდა და შოკს სადმე მიჭსწყდებოდა.

უეცრად ერთი საშინელი მესი ჩამოკარდა და კაბწყინდა ცა ელვისაგან, კლდე, სცა სირიანს სადგური იყო, შეინძრა. მოიბუხა სირიანსა, კანკალით გაიქცა და მიიშალა მღვიმის კუნჭულში და ყოველთვის როცა ელვის ალი უეცრად გაინათებდა მღვიმეში, სირიანს თრთოდა.

ბოლოს ელვამ თან-და-თან იკლო, ქუხილი ისეთის ძალით აღარ გრიანებდა და დასასრულს ყოველივე მიჭსწყდა: ავდარმა გადაიარა და სამხრეთისაკენ დაეშო.

XVI

მღვიმეში თავალ გაუვალი სიბნელე იყო, საშინელი სიბნელე და რამოდენადღაც სიბნელე მატულობდა, იმოდენად მატულობდა შიში და ელდაც სირიანსი. როგორც წყალ-წაღებულს წყლის ნაპირი ენატრება ისე სირიანს ენატრებოდა სინათლე. ზოგჯერ თავლებს დაიხუჭავდა რამოდენადღაც შესაძლოა მაგრად, სტდრილობდა წარმოედგინა სხივისანი შუქი ნათლისა.

შიშმა ამოუმოს გული სხვა და სხვა საშიშარის სურათითა და ელდითა. ვინ იცის, იქნება შავლემ სულაც თავი დამანება და დამაგდო ჩემის ბედის ანაბარად? იქნება ამ საშინელებამ მთებში მოასწრო ზოლივარძს ჩემს საძებნელად წამოსულსა და ბნელაში კლდეში სადმე გადინებოდა, ანუ მესი სადმე დაეცა და სული გააუთხოვინა? ეს კლდე, მღვიმეს შემოსავლის თავზედ გადმოშვერილი, რომელი იდგეს და გზა შემოიკრას, რა შეშველებო? მაშინ ხომ ცეცხლად დამარხულს აქმარტოდ მარტო უნდა ნელ-ნელა ამომვიდეს სული, ისე მოკვდეთ

რომ ველანკ ვანხელ ის, ვინც ასე მიყვანს, ისე ვამოკვსადმო ამ წუთის სოფელს, რომ ველანკ უთხრას მას, რომ მე შენს გულს არ ვუბრუნებ.

— ამ თქმებით ვლად გუბული სიროსან წამოხტა და ხელების ფაფურით გაიგნო გზა და მღვიმეს გარედ გამოვიდა. ველანკ აიტანა ეს ხმა-ამოუღებელი მარტოობა და საშინელი სიბნელები. მაგრამ ფეხი გააძვირა მღვიმის შემოსავალს თუ არა, მოესმა ვიღაცის ფეხის ხმაურობა. ახალმა ვლადიმე შეიშურა ქალი. ვის გაუბედია ამ კლდეებზე სიბნელი ამ თვალ გაუვალ ბნელს დაძევი? იქნება ვაჟი იუოს? იქნება ვოლიკანშიც არის და სიროსანს დაქვებს? ამ უკანასკნელის ფიქრით ატარებულმა სიროსანმა წაივლო გულზედ ორივე ხელი, უნდოდა ხმა გაეცა, მაგრამ ენა დაუღუნდა და ხმა გაუწედა.

თითოეული და განკალთ სულ განბოული ვუწნ უგდებდა თანდათან ხალა და ხალა მონაკვალს ფეხის ხმაურობას: მონაკვალს თვალის მოჭკრა თეთრს კაბას და ხმა მოჭსტა. ეგ იყო ვაჟი. ვაჟის ხმასვედ გულზედ მოეშო სიროსანს, თითქო ერთი მძიმე ქვა აეცა ლა და საღამოზე საღამო მიჭსტა.

— მე მგონია, ჭსტაქა მეუდაბნოემ: ამისთანა საშინელებაში მიგნით ვოფნა ვმეგობრები უნდა იუოს, ვიდრე გარედ. იმასვედ კი მანც გულად დაჯერებული მქვს, რომ ამისთანა ჭკერში ვოფნა ვერატყრად მოსაწონია.

— თვითონ შივ მღვიმეშიაც საშინელება იყო, უხასუს სიროსანმა: მე დიდი შიში და ვლად გამოვიარე ამ საშინელს სიბნელებში რომ მარტო ვიყავი. ჩემი ვატარა ძალი მანც მუთლოდა, — რაც უნდა იყო სულად მანც იყო.

— მე ძალიან ვეჭვობდი რომ ვლად ვა შესაძლოა ადამიანისთვის. მაგრამ აქ გზები ისე გატკეპლილი არ არის როგორც ალექსანდროის ქუჩებში და მე რადგანაც ცერბერი არ ვარ და სამი თვით არ მახს, ამისათვის ვამჯობობ ნელა ვიარო. მეტქი და შინ მშვიდობით მივიდვი მეტქო ორინჯულმა რომელმაც ვეჭვობდა მონაკვალს.

ერთბამად შთანთქა თითქო მუძლიარაჯ კარსკლავები იყო, და ბებური მთა ისე შეწუხდა ამ ამბავზედ, რომ ყოველ მხრიდან მის ქვიანს ლოყებზედ წამოსქდა ნიაღვარი ცრემლისა. აქაც კი სისკულია! მღვიმეში შედი, ერთი სადმე მშრალს ადგილს გამაშლეინე რაც მოგიტანე: ხვალ საღამოს ბინდი ჩამოკარდება თუ არა, გზას შეგუდგებით. კუმი ვიშოვე, რომელიც კლავდას მიგვიყვანს და იქიდან მე თვითონ წაგიყვან ალექსანდრისმდე. აი ამ ტყავშია გახვეული ტანისამოსი და ჩაღრი. თუ გინდა რომ გზა-კვალდი დაუბნია ფეხების, ამ ტანისამოსით უნდა მოიხრთა, თორემ თუ მაკ ტანისამოსით გნახეს, შენ ფეხების კერ დაეძალები.

— მე შეგინია, აქაც კარგად ვარ დამალული, უპასუხა სირონამ: მე ზღვაში სიარულის მეშინიან. ამასთანაც თუნდაც მშვიდობით მიგიდე ალექსანდრისში, მაინც კიდევ არ ვიცი როგორ....

— ეგ ხუმი საქმეა, შენ ფიქრი ნუ გაქვს, მე დაგაბინავებ, გაწვევტინა სიტყვა ჰაკლემ: ხომ გაგიგონია ლომისა და ვირის ზღაპარი. აი ეგრეა ხალხი, რომ სშირად ლომს ვირის ტყავი აცვია. გუშინ შენ სიამოვნებით იგონებდი სრა-სასახლეების მედიდურობას და ნატრობდი მათში მცხოვრებულის ბედნიერებას. შენც ერთს იმისთანა მარმარილოს სრა-სასახლეში იდგები და როგორც პატრონი ისე მოიხმარებ, არაუბნ შეკვიცილება. რაც შეეხება ტანტრევანს, ეტლსა, შინა მოსამსახურებს, იმისი მე ვიცი, ყველაფერს გიშოვნი. ნუ ეჭვობ, მე იმისთანას არას დავპირდები, რომ ასრულება არ შემეძლოს, — დამიჯერე. აი წვიმასაც გადუღია, ესლა ცეტხლს ავანთებ. ესლა დამე მშვიდობისა და დანახეინი კი ხვალინდელს დღეს დავატალოთ.

გატყებული სირონა დაემოწმია ჰაკლეს ბძანებას. უწინ დამდენჯერ უნატრია სირონას ყოველივე ის, რასაც ესლა ქმირდება ეს უფნაური მამინაცვალი; ესლა კი ყოველივე ეს არაფრად მიაჩნდა. გულში ჩაინეჭა რომ არას შემთხვევაში არ აჭყვეს ჰაკლეს რჩევას, რადგანაც ჰაკლეზედ რაღაც ეჭვი დაებადა, ამიტომაც გულ-გრილად უპასუხა ჰაკლეს გამომშვიდობაზედ და უთხრა:

— ხვალ საღამომდე კიდევ ბევრი დროა, რომლის განმავლობაში შეგვიძლიან უფრო კარგად მოეითვებოთ ყველაფერი.

პავლე ციცხლის ანთებს შუედგა და სირონა მანტ მარტო დარჩა ბნელაში და ხელახლად შიშმა წაიღო. დაუძახა პავლეს და უთხრა:

— მე ამ ბნელაში მეშინიან. დღეს დილით შენ კიდევ რაღაც ზეთი დაგჩნა, იქნება ჭრახვი მანტ მოკახეცხათ, თორემ ბნელაში უფანს საშინლად მშინებს.

პავლემ სწრაფად წამოაგლო ხელი რაღაც ნატებს, ჩასხს ზეთი, მოხის თავის ისეც დაფხრწილს კალთას მხვარი, დაგინხა პატრუქათ, ჩადო ზეთში, მოჟიდა და მიწოდა სირონას ამ სიტყვით:

— ჯერ დრომდე ამ ჭრახვა გაგიწიოს სამსახური, ალექსანდრიაში კი მე ვედლები გიშოვნო იმისთანა კანდელი, რომელიც ჩემზედ უკეთესის რსტატისაგან იქნება გაკეთებული.»

სირონამ თახჩაში თავით დაიდგა ჭრახვი და მიწვა ლოგინზედ. როგორც ტუის ნადირი ფთხის ნათელზედ, ისეც შიში, რომელიც ამდგრებს ხელზე კაცის მშვიდობიანობას. ყოველივე საშიშარი ფიქრი თავიდან მოშორდა სირონას.

გულ-დადინჯებული იწვა ლოგინზედ და მტკიცედ ჩაინერჯა გულში რომ იმ დრომდე არ წავიდეს ამ მღვიმედამ და არ მიენდოს მუდამანაკს, ვიდრე როგორმე არა ნახოს პოლიკარში და იმისთან არ მოილანაზაკოს. ხომ იცის ესა სადაცა ვარო, იფიქრა სირონამ: უთუოდ ამოვარ დღესა თუ ხვალეო.

„ხვალ, იმედი მაქვს, ვნახავ, ამბობდა სირონა: ჩემს გულს მთლად გადუგხსნიო. იგი ჩაინუდავს ჩემს გულში და ქსენობს რომ როგორც გადაშლილს წიგნში, მისი სახელი ქსწერია ყოველს ფურცელზედ, ყოველ სტრიქონზედ. მე იმასაც ვუამბობ, რომ დღეს მე ჩემი ლოცვა მივმართე მის „კეთილს მწეემსა“ და მას შემდეგ გული დამიამდა, მწუხარება გამინელდა. მე ვეტყვი, რომ ისეთივე ქრისტიანთა უფანს მინდა, როგორც მისი დედაა, როგორც მისი დაი მარტანაა. დროცას ძალიან გაუნარდება ამას რომ გაიკებს; მე იმის თავის დღემ

აკ დედაკაცათ არ მივაჩნდი; უოკულოვის სიყვარულით შექცეოდა; პატარები ხომ რაღა... სინარულით სტომას დაიწყოებენ.“

მხიარული სახენი პატარა ბავშვების წარმოუდგენ თვალ-წინ, მეტე იქიტი ბუჩანმა ნელ-ნელა შეიპერო და ბოლოს ნუგეშ-მცემელი ძილი ნაზად ჩაეპარა გულში და გაუფასტა უკანასკნელი ჩრდილი დღეთა ცხოვრების მზრუნველობისა.

ღიმილით ბავშვად, ჩაეძინა სირიანას როგორც გულუბრყვილო ბავშვსა, მისი უცნაური ზედამხედველი ამ დროს ისევე ცუცხლს დაჭსტრიალებდა და რაც შეეძლო უბეზავდა სკულს შეშას, რომელსაც მხელად ეკიდებოდა. შოკოკერ კი მოშორებოდა ცუცხლს, წინა და უკან დადიოდა და მსურვალეს თვლით გაიციქებოდა იქით, საცა ჭკაქის შუქზედ მოჩანდა მძინარე სირიანა.

აქამომდე ჯერ კიდევ ცოცხება არ მოეკრიფა, მას აქედ რაც პოლიკარში დანაშრცხა. ერთს წუთსაც არ შეუნანია აგი, რაც დღე დაუყენა პოლიკარში. სულ იქიტიათაც არ მოსკლია, რომ ძიქს დაცემას პოლიკარშიას უბედურებით გათავდა

ეგრე უნდაო იმისთანა კადნიერს და თავზედ სელაღებულ კაცსაო! ვინ მიჭსტა იმას ნება რომ სირიანას წამოსარჩლებოდაო, მაშინ როდესაც მე, ბავლემ, სირიანა სიკვდილს გადავარჩინეო და უოკულოვე მზრუნველობა მასზედ ვისრად ვიდეო?

ჯერ პირველ შესვედრახედვე სირიანას სიტუროთემ ამოვნებით აავსო გული პაკლესი, როცა აგი აღტაცებით შეჭეურებდა ლამაზს ქალს და გულ-მტკივნეულობით უურს უგდებდა მის გულ-წრთელს ლაპარაკსა. მხოლოდ პოლიკარშიას აღსარებამ ჩაუგდო გულში ნაპერწკალი; და ეს ნაპერწკალი უმეღებულ ცუცხლად გადააქცია იჭვამა და შიშმა რომ სირიანას სხვა წამართმევსო.

არ უნდოდა ეს ქალი დაეჯიო ვისთვისე, უნდოდა რომ სამუდამოდ ამასზედ მზრუნველობა თვითონ ჭქონოდა, უნდოდა რომ ის ქალი მარტო, მარტო ამის მადლობელი უოკულოყო და სხვის არავისი. ამიტომაც ასე აჩქარდა, ასე გულ-მოადგინეთ სულით და გულით

მიეტა სამგზავროდ მზადებსა, რომ ეს ქალი მალე გააქციოს როგორც. ავდარს და ნიაღვარს, ჭეჭა-ჭეხილს, ღამის თვალ-განუწვიანელს სიბნელეს — ანაოგებს ან შეუშინდა და როცა თავი დამოკიდებინა, გაწიწვილი, დაქანცული, ხელის ფაცურით გზას იკვლევდა, კლდის კლდესზედ ბობლინობდა სსიკვდილოდ თავ-გამომეტეული, იგი მხოლოდ სიბნელის ხელს იჭიჭებდა, ზრუნავდა მასზედ თუ როგორ მიიყვანოს მშვიდობით ალექსანდრისში, როგორ დააბინაოს, როგორ მიანიჭოს ყოველისთვის, რითაც კი დედა-გაყის გული სიამოვნებს ხელში.

ბევრ-გვარს აზრი მოსდიოდა, ბევრ-გვარს სარისტა დაიწყო, მაგრამ ყოველს ამას მარტო სიბნელის სიამოვნებისათვის ღამოდა, — საკუთრივ თავისთვის კი არა უნდოდა რა, სრულიად ანაოგები.

როცა ჭრჭი და ჭრჭის შექმნად ხელახლად დაინახა სიბნელის, მისმა სიტურობამ თავ-ზარი დაჭრდა. ხოლო დიდხანს ვერ დაჭრებოდა საუცხოო ხილვით: სიბნელის მალე დასნებდა თავი და მარტოდ დაგდო წვიმის ქვეშ ღამის სიბნელეში.

მომსახურებად დადიოდა წინა და უკან. უფრო და უფრო ცუცხლს უკიდებდა მწკვირა სურვილი, რომ ერთხელ კიდევ ნახოს ჭრჭის შექმნით განათებული: სახე და ჭრჭისსაკენ გამოწვილი თოვლივით თითქმის ხელი: უფრო და უფრო უძლიერდებოდა გულის ფეთქება.

როცა მღვიმეს შესვალს წინ გაუვლიდა და შიგნიდან შექმნილი გამოკრთოდა, რაღაც იდუმალი ძალი ეწეოდა შიგნით, რომ ერთხელ კიდევ დაინახოს მშვენიერი ქალი. ესეა პაულო იმაზედ აღარ იფიქრობდა, როგორც ღრუბლით და გვიშვით მოიშორებს თავიდან მცდურნი წადილი, ესეა საბოლოო ემბოლო, რომ თავის-თავის წინაშე თავი იმტოვოს, თუ რომ შიგ მღვიმეში შესულა მოუხდებოდა. მიხედავთ მალე იპოვა: ცივი ღამიანო, ტყაპუჭი იქა მქვეს. განიზრახა შესულა და გამეტანა, თუცა აღთქმა დადებული ჰქონდა, რომ ტყაპუჭი ტანზედ აღარ მიიკაროს. ანაო სიბნელის ვჭსთქვათ კიდევ ვახელო, შეჭე რაღაც ჭკითხს თავის-თავს.

როცა დივს ფეხი გადასცილა, გულის ხმამ უჩინა უგან დაბრუნდით, ეუბნებოდა, რომ მრუდე გზაზედ მიხვალა, თეხის თითებზედ მიცოცავო, როგორც მზარავი და ქურდით! მაგრამ აქვთ თავი გაიშინებდა: „ფეხის თითებზედ მიცოცავო მისთვის, რომ სიწმინდის ძილი არ დაუფიქროსო.“ ამის შემდეგ ჩაუჩუმიდა გულის-ხმა, იმიტომ-რომ მივიდა ვიდრე იმ ადგილამდე, სადა სიწმინდის ეძინა.

სიწმინდის ეძინა თავის ხმელს ლოგინზედ, ძილით მოცულს რომ გორც ფეხიანს. გარშემო ბნელადა. სუსტი ნათელი ჭრახვისა შუქსა ჭსტემდა მარტო ერთს მატარა გუნჯულს მღვიმისას. ხოლო შინის-სახე, გულ-მკერდი და ხელები ქალისა, რომელთაც ჭრახვი შუქსა ჭვიენდა, წინათბდნენ, თითქო საკუთარის შუქითა და აძლიერებდნენ ჭრახვის სუსტს ნათელსა.

მავლემ სული განიხა, დაეშოა მუხლებზედ და თვალნი ალტაცებით და მხურვალეთ გაუშტყობს მშვენიერს სახეს მძინარისას. სიწმინდა ამ დროს სიზმრებში იყო. მისი თავი, რქოვს თმებით გარემოცული, ბაღსების ბაღიშზედ ესვენა, შინის-სახე, ნაზად ვარდის ფერად წაშლილთაგან, მიქცეული ჭქონდა მღვიმის ჭერისაკენ. მისი ხელად მოკუმშული ბაგენი მოძრაობდნენ... ამ ტოკვად დაიწყო აღნიშნულ მოხრობა თეთრმა ხელმაც, რომელიც ესვენა შუბლზედ, ჭრახვის შუქით განათებული.

„განა ჭსტქვა რამე?“ ჭკითხა თავის-თავს მავლემ და მაგრად მიეგრდა გამოშვერილს კედელს კედლისას, თითქო-ამით უნდაა შეაყენოს ძარღვში აშოთებული სისხლი, რომ თავში არ აუვარდესო. სიწმინდას ხელახლად აუთრთოლდა ბაგენი. „ჭსტქვა რამე, თუ არა? იქნება მე მისხლო?“

ახა, ვერ იხმობდა, რადგანაც ქალს ეძინა. მავლეს კი უნდოდა, რომ ეკ ეგრე ყოფილიყო. უფრო ახლო და ახლო მიიწია; ბოლოს მისინა თავი და ხმა გაკუმშით მოჭყვავს უჩინს ვდებან, მაგრამ ღონემ უღადატა, სუნთქვა დაუდგა, თავ-ბრუ დაესხა თავი ვლარ შვი-მაგრად და ბაღინან ტუჩებით დაჭსწვდა ჯერ ხელს, რომელიც ქალმა

უკან წაიღო ძილში, მერე თვალნი უძრავად დასტოვს ოდნე განზობილ ქალის ბაკეთა, რომელთაც შორის გამოჭკროდნენ თოვლივით თეთრი კბილები, ამ პატარა ბაკეთა გოცნის წუთუბილმა შეიპყრო მთელი მისი აჩსება უძლეველის ძალითა.

მთელის ტანით მთრთოლარემ, დაიწია თავი რომ გოცნის წუთუბილი მოიგლას, მაგრამ უჩრად თავა მოაჩიდა, თათქო წაღაც მოჩვენებამ თავ-ზარი დაჭსცაო. ეხლა თვალნი მისნი მიეპყრნენ ღაღის-ფრას ტუჩებს კი აჩა, აჩამედ ხელს. რომელიც ესუნა მძინარე ქალის შუბლზედ.

შუქი ჭრატისას სხივსა ჭსტომდა ოჩროს ბეჭედს, რომელიც ხელზედ ჭქონდა სირონას, და ბრწინვალედ ანათებდა შიგ ჩასმულს ქვას, რომელსედაც გამოჭრილი იყო სახე ტიქისა, ანტიოქიის ღმერთასი, თავზედ ბურთით და ხელში რქითა.

ეს რომ ნახს, სისხლი უგრო აქმდვარა და გულმა უგრო ძლიერ დაუწყო ცემა. მაშინვე უბეს იგრა ხელი, და ამოიღო პატარა რკინის ჭაჭკი და ბეჭედი. რომელიც წინად გერმასის დედას შესხნა, როცა იგი გადაიტვალა. სინათლეზედ გასინჯა და ნახს რომ იმისთანავე ქვა ზის, იმისთანავე სახეა ამოჭრილი როგორც სირონას ბეჭედზედ. აკანკალებული ხელი მისი ძირს ჩამოეშვა მისთვის ძვირფასის განძითა, მერე ორივე ხელი წაივლო აბურძგნულს თმებში, ერთა საშინლად ამოიკენეს და თათქო შენდობას ეკედრებაო, ჩამდენჯერმე ახსენა სახელი მაგდალინასი.

მერე ხმა-მაღლა დაუძახა სირონას და როცა შეშინებულმა გამოიღვიძა, ჭკითხს: ვინ მოგცა შენ ეგ ბეჭედი?

— ფებიციმი მახუქა და მითხრა, რომ ანტიოქიაში მახუქესო ჩამდენიმე წლის წინადაო. ეხლა მე ეს ბეჭედი აჩც კი მიხდა რომ მქონდეს. თუ მოგწონს, წაიღე, შენი იყოს.

— გადააგდე! დაიძახა პაულემ: შენ ეგ ბედნიერებას აჩ მოგიტანს! ამის შემდეგ, ხელახლად დაიმოწმია თავი, ადგა, თავი დაღუნა, გავიდა გარედ, მიეგდო სველ ქვებზედ და წამოიძახა:

— მაგდანილავ, შენ წმინდა ხარ! შენ გლიტერს გერქვას და წამებულ კი იქმენ ღვთისათვის და მით მოიპოვე გზა საუკუნო ცხოვრებისა. მეც, მეც მქონია დღეინი სიმატლისანი და მაშინ გუბდავდი და ჩემს თავს ჰაგულს ვუწოდებდი,— ესლა კი, ესლა?

სასაწარმეებით ავსილი იტემა თავში ხელს და კენესოდა: „წარხდა უოველი ჩემთვისა, წარხდა!“

XVII

უოველს კაცს არ შეუძლიან იგრძნოს, რა არის ის საშინელი მწკაპი ტკივალი, რომელსაც გამოივლის ხოლმე სული, თავის-თავზედ იმედ-გადაწვეტილი და სასაწარმეოილი. მაგრამ ესეც ვინ, რომ რამოდენადც ამ შემთხვევაში ტანჯვა და ქენჯნა ძლიერია, იმოდენად ნატკივარს გულს შეებად ეძლევა ხოლმე.

ჰაგულს ფიქრში აღარ მოსდიოდა ღამაში მშინარე ქალი. იგი შეწუნებული იმ საშინელის სულის ქენჯნითა მიეგდო ტიტველს ქეზზედ და ჭგრძნობდა რომ უოველივე ბრძოლა ამოა და ფუჭი. როცა მან სხვის მაგიერად ივისრა ცოდვა და მიიღო სასჯელი, როცა კისრად იღო გერმასის სამარცხვინო საქციელი, მაშინ ეგონა, რომ მცხოვარისაგან ნახევრებ გზას დავადქიო. ესლა კი? ესლა კი იგი ჭკვანდა იმ კაცს, რომელიც დაეწა თავის სასურველს საგანს და როცა ხელი უნდა წაეგლო, წამოჭკრა იყენი ქვას და ჩავარდა ღაფში.

„ღმერთი ხედავს წადილს და არა მოქმედებს“ ჭფიქრობდა გულში. რა დავაჰავე მე სიბრძნის წინაშე და რა არა,— ეგ სულ ერთია, ამას ვინ ივითხავს; როცა მე გავიწიე სიბრძნისაჲ, მე მაშინ ვეუბნე სატანას და ამით თანაზიარე გაუხდნი დაუძინებელ მტერს მისას, ვინაც შევჭსწირე მე ჩემი სული და ხორცი. რას მიშველის მე, რომ გამოვეთხოვე წუთის სოფელს და აქ, ამ უდაბნოში გვდივარ? ვინც ბრძოლას თავს არ იღებს, რასაკვირველია, შეუძლიან დაიკვივოს მე ჯერ არავის დაუშინებლად, მაგრამ ამით განა ის გმირად ჩაითვლება? დაფნის ფოთოლის დიხსი მარტო ის არის, ვინც ამ ქვეყნიერ ბრძოლაში არ გაიმრუდებს გზას ცისაკენ მიმავალს და არ შეიშ-

ლის სიარულს, მე გი ვეხეტებოდი მარტოდ და როცა წინ შემხვდა უმაწვლილი გაცი თავისის მუქაჩითა და დედა-გაცი თავისის სიღამაში-თა, დავივიწყე ჩემი გულთიანი საგანი და მსწრაფლს ჩავეჭი სატანის წუმპეშია. ეგრე არ იქნება, მე აქ იმას ვერ ვიპოვი, რასაც ეძიებს სული ჩემი! მას როგორ და სად? განმანათლე მე, უფალო, და მასწავლე, რა უნდა გქმნა.“

ამ ფიქრებში კართული ჰვალე წამოდგა, დაიჩოჭა და გულ-მოდგინედ დაიწყო ლოცვა. როცა ბოლოს წარმოესთქვა „ამინო“ თავი გაუხურდა თითქო ეწვისო და ენა თითქო გაუშინაო.

ამასობაში ცამ ღრუბელი გადაიყარა, მარტო ჩასვალეთისკენ გიდევ შავად მოჩანდნენ შეგვუუებულნი. ხანდისხან სადმე შორს გამოჭკრებოდა კიდევ ელვა და ანათებდა ჩავბილულს წვერს კლდეებისას. მთავარეც ამასული იყო; მაგრამ მისი კლებასი შესული დისკო დაფარულიყო მსწრაფლ მორბედ ღრუბლებითა. ბრწინავალე ნათელი ელვისა, ნაზი შუქი მთავრისა და სრულიადი სიბნელე ღამისა საოცარის სისწრაფით რიგ-რიგად მოივლინებოდნენ. ბოლოს ჰვალე ადგა და დაეშო წყაროსაკენ, რომ წყალი დალიოს და გაიგრილოს განურებული შუბლი.

გზათ მიმავალი ამბობდა, რომ მე უნდა დავიწყო სხვა ახალი ცხოვრებაო და მინამ ამას შევუდგებიო, ვერ პირველად წარსულთა ცოდვათა მონანიება მმართებსო; მძიმე საკანონო უნდა დავჭსდო ჩემს თავსაო. მაგრამ როგორი საკანონოა?

წყაროს პირს იდგა, როცა ეს ფიქრი მოუვიდა და დასაწყებად დაწაფავს ლამოდა. მაგრამ მინამ პირს დააკარებდა წყალს, წამოდგა ისევ, ხელახლად გაჭსწროდა ტანში სახელდობრ იმიტომ-რომ წყურვილი ჭსწავდა და უნდოდა უწყოლობით დაესაჯა თავი.

სწრაფად მოაჩიდა თავი წყაროს და უგუიქცა, როცა ამ რიგად დაიმორჩილა თავი და იგრძნო რომ ცოტადენად მაინც კძლიე ჩემ თავსაო, მის ამღვრეულს გულს ცოტა შეება მიეცა.

მას უნდოდა მოშორებოდა აქაურობას, ამ უდანოს, ამ წმინდა
შთას და საითმე გადაკარქულიყო. მაგრამ საით და რად? ხომ მარტო
წაალებს უნდოდა თვითონ და წაალებაც ეგ იყო. ვის უნდა გავექცეო-
ვინ? ჭკითხვად დაჟინებით თავის-თავს და ეს პასუხი იპოვა:

— „ის, ვისაც შენ გინდა მოშორდე და გაექცე,— თვითონ შე-
ნა ხარ. შენი მტერი—საგუთარი შენი „მე“ არის და საცა უნდა
გადიკარქო იგი უგულვან თან გამოგუგებო, უფრო ადვილია მოიშო-
რო თავიდან შენი ჩრდილია, ვიდრე შენი „მე“.

პაულები ეხლა სრულიად იგრძნო თავისი საგუთარი უძლეურობა და
შედეგ იმ წაალებისა, რაც ამ უკანასკნელს საათებში გამოიარა, სულ
მოიშალა ტანში, მოჭაწყდა და დიდს მწუხარებაში ჩაყარდა.

ღახე მოკლებული, მისუსტებული, თავ და სიცოცხლე მოძუ-
ლებული პაულები მიეგდო ქვებზედ და დაიწყო მასზედ ფიქრი, რაც
ამ უკანასკნელ დღეებს და საათებში გამოიარა და შეემთხვა.

„ეგეა სულელზედ, რომელიც კი ოდესმე მე მინახავს, მე შიშს
წაველ და ეველს გადავაჭარბე, ამბობდა თავის-თავად პაულები: ამასთან
ისე ნაიხად ავრეი ჩემი გზა და კვალი რომ ბრძენიც ვიყო კვლავ
გავასწორებ. ერთხელ ვიღაცამ მიამბო, რომ ყოფილა ვითომ ერთი ვი-
ღაც უდაბნოელი, რომელსაც აქა და სამლოცოწილში ჭსწერიან
შეგდრებს დამარხვა უნდა, აუღია და რადგანაც ცხედარი არსად ყო-
ფილა, მოუკლავს მეზავრი, რომ სამლოცოწილის მძანება დამარხვის
შესახებ მით აესრულებან სწორედ ისე მომივიდა მე: რადგანაც,
იმისათვის რომ სხვა გადავარჩინო წაალებას და სხვის ბრალი ვისრად
ვიდო, მე უბედურებაში ჩავკადე პატროსანი ქალი და თვითონაც ცოდ-
ვილ შევიქმენ. რა წამსაც ინაყრავებს მე სოფლისაკენ გავექმე და ვე-
ლაფერში გავეტუდები პეტრესაც და კპისკოპოსს ალაპიტსაც. იგინი
საკანონოს დამდებენ და მე გეცდები რომ ის საკანონო უნაკლულად
ავასრულო: რაც უფრო ნაკლები შევიბრალვებ ჩემს თავს, მით უფრო
მალე შემიბრალვებს ყოველად მოწყალე და უგვადვი გამკითხველი
ჩემი.

ადგა, შეხვდა ვარსკვლავებს და რა ნახა რომ გათენება მალე იქნება, გაემართა სირომასთან წასასვლელად და გადადგა იქები თუ არა, ერთი შესაბრალონი კენესა მოესმა. ყურნი დაუგდო, ხელმოკრულ მოისმა უცნაური კენესა. პაულო იფიქრა იქნება დაჭრილი ნადირაო სულის დაღევისმდე მიხსუელიო, და გაჭსწია იქით საიდანაც კენესის ხმა მოდიოდა.

კენესის ხმა თან-და-თან უფრო გაძლიერდა და მოუხშირდა, თან-და-თან უფრო გულ-სატკივარი ხმა ისმოდა. მამინ კი მიხვდა, რომ ის ხმა უსათუოდ ადამიანისა არის. მიიხედ-მოიხედა და ნახა რომ იქავ გადმოშვერილ კლდის ქვეშ გდია უძრავად ადამიანი.

„იქნება მწყემსი ვინმეა, მესისკან გაუფუჭებულიო, იფიქრა პაულომ. მივარდა ტანჯულს, ნელა წამოჭსწია და გულზედ მიიყრდო სნეული და ცოცხა ცხვირში ეცა სუნი თმებზედ ცხებულ სურნელაჲსის სეთისა, მამინ დაებადა სმინელი წინად-გრძნობა.

„პოლიკარპე, შენ ხარ?“, დაიძახა პაულომ და უფრო ძალიან მოხვია ხელები სნეულსა. პოლიკარპე შეიძრა და ცოცხა რამ წაიდუღუნა წინასა და გაუგებრად, მაგრამ იმოღენდა კი, რომ პაულომ გული დააჯერა, რომ მართლად პოლიკარპეა.

გულ-მტკივნეულად ამოიხსრა პაულომ, გადახვია დაუძღურებულს ემაწვილ-კაცს, მეტე სიფრთხილით ასწია და როგორც პაულომ წაიღო წყაროსაკენ და იქ თავისი პატრონის ტვირთი დაუშეო ძირს ბალახ-ზედა.

პოლიკარპე შეტოკდა და ახსიდა თვალები. ამ დროს განიყრანუდა კიდეც, სუბუქს დრუბლებს ცის აღმოსავლეთის მხრივ ვარდის ფერი ქობა გაუგებრად და ახლად დაბადებული დღის ნათელი ღამედა ბნელის შეწრის ახლას და ქვეუნიერობის სხისას და იერის გამოჩენასა.

ემაწვილმა კაცმა იცნო უდაბნოელი, რომელიც აკანკალებულის ხელით ჭბანდა წელულს კეუაზედა. ცენტლივით ანთო თვალები პოლიკარპეს და შეიკრინა რა უკანასკნელი დონე, ჭკრს ხელი პაულოს, რომ თავიდაც მოიშორას.

პავლემ უკან არ დაიწია და ხელის კვრას ისე მიიღო, როგორც მოკითხვა, როგორც ვიღღო და იფიქრა: „დაიხ, ხანჯალიც რომ გქონოდა ხელში, მაშინაც ადგილიდამ არ დავიძროდი.“

დაჭრილობა პოლიკარპისა შეტად მიიქცა და დიდი იყო, ხოლო სისხლი თმებში ჩაჭკდომოდა და შეეკრა პირი წყლულისათვის, ას რომ სისხლის დენა ამით შემწყვდარიყო. როცა პავლემ მოჭბანა წყლუ-
ლი, ხელახლად წამოჭსქადა სისხლი, სისხლის დენა მოემატა მას შემ-
დეგ უფრო, როცა პოლიკარპმა თავის მტერს პავლეს შეუტია ხელის
კვრითა. ყოველ ამან დასუსტა ისეც მისურსტებული პოლიკარპი და
ამიტომაც იგი უღონობით გრძნობა მიხდილი დაეცა პავლეს მისაშ-
ველებლად გაწვდილ ხელეზუდ.

სუსტმა დილის ნათელმა უფრო შეტად გააფითრა უსისხლობით
გაფათრებული და ფერ მიღებული სახე ემაწვილ-კაცისა, რომელიც
თვალზე ამღვრული და უკანასკნელ დღემდე მისწული ესკენა უდაბ-
ნოელის ხელეზუდა.

„სულსა ჭლექსო“ წაიდუდუნა პავლემ და ელდა ცემული სულ-
განაბული ხან ცას შეხედავდა, ხან მინდვრებს გადაჭსტქეროდა თითქო
ექებსო ადამიანს, რომ იშველიოსო.

თვალ-წინ მოხანდა დიდებული მთა, დილის სხივებით მორთუ-
ლი, რომელსედაც უფალმა ქვის ფიცარზედ დაჭსწერა კანონი თავის
საკუთარის ერისათვის და მთელ ქვეყნიერობისათვისაც. პავლეს მოქ-
ყენა უხარ-მასარი სახე მოსესი, რომელიც ვითომ გადმომღვარა ერთს
მალად ცრქზედ და ხმა-მალდა ღაღაჯეს ეველსზედ უშიძიეს მცნებას:
„არა კაც ჭლდა.“

პავლემ თვალეზუდ ხელი აიფარა და შიშის ზარით ელდა ცე-
მული იდგა ხმა-ამოუღებელი გულზედ მიუღებულ ტვირთითა. თვა-
ლებზე ხელი აიფარა იმიტომ რომ ესენოდა დაკანხა ფერ-მგართალი
სახე ემაწვილ-კაცისა და უფრო მთა. მაგრამ ძლიერი ხმა მალაღის
ძითდამ უფრო და უფრო ღაღაღებდა, უფრო და უფრო ძლიერ ის-
მოდა; პავლეს გულში ხმაურობდა სასტიკი ხმა უფლისა: „არა კაც

ჭკლან; მერე შეოხრე: „აჩა ვუღი გიოქშიდეკ ცოლისათვის მოყვასისა შენისა, და მესამე: „აჩა იმრუშო.“ და ბოლოს შეოთხე: „აჩა იყენენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა ვარემე.“

ვინც შექსცოდავს თუნდ ერთს რომელსამე მცნებას ამ ოთხიდან იგი შეჩვენებული და წყუელის, შე კი, შე კი ოთხსავე ერთად შეეცოდე, ოთხივე ერთად დავარდვიე ცხონების ეკლიანს გზასედე. იმხინდას სსოწაჭკვეთილი ვაკლე თავში ცემით.

უნებლიედ ხელნი აიპურცო ცისა მამართ, მიძიმედ ამოიკენესა და შეხედა მთას. რა ნახა მთასედე? სინაის წვერსედე სავარაუდო იყო, სავარაუდო უარული იდეკ მტერის სავარად, იმ სავარაუდოს წინ ფრინავებდა ალამი ნიშნად იმისა, რომ მტერი გამჩინდა და მოადისო.

ვაკლე მართალი იყო. როცა ეს ამბავი დანახა და მოსალოდნელის შიშისაგამო განება ისევე მოეგრიოდა, ნახა რომ ხმა რომელიც მას მთის წვერიდან მოესმა, ვარაუდის სავარის ხმა იყო გასაფრთხილებლად მცხოვრებთა და შეუდანბოეთა.

გემასი დანბუნდა თუ არა? იქნება ბლეძიელებმა გზა აუქციეს? რომელ მხრიდან მოდის მტერი? აქ მომავაკვდანთან უხდა დარჩეს ვაკლე, თუ მოვალეობა ითხოვს წავიდეს და თავისი ღონიერი მეკავი მოინახროს თავის მოძმეთა სავარად?

ამავის კითხვით და შიშით დაჭსტქეროდა იგი ფერ-მილეულს სხესს წავარისას და გული აკვსო მტეიკენუელისა და სინბრალულითა. რა მშვენიერი იყო ეს ნორჩი ვავილი, რომელიც უწნში ვადტეხილ იქმნა ამის ტლანქის ხელითა! ამ შაკ ხუჭუჭ თმასა ვერ კიდეკ გუშინათამაშუნდა ხომ დედის ნაზი ხელი! უდანბოელს თვალში ცრემლი მოეჩინა, დანახა და, როგორც მამამ, ალეჩსით აკოცა უსისხლო ტუჩებს უსულლო წავარისას.

სინარულის ვრუნტელმა გაურბინა ტანში, იმიტომ-რომ ტუჩები მოჭიკარხს ვერ კიდეკ თბილი ჭქინდა და აი ხელითაც ტოკვა დაიწყო... მადლობა ღმერთს! ხელახლად თვალციც ახინდა.

— მე კაცის მკვლეელი არა ვარ, არა, უგალობდა ჰავლეკს გულში
ათასნაირი ხმა ღხენითა და სიხარულითა. მეჩე ჭსთქვა: ჯერ თავის
მშობლებთან მივიტან ამას და მეჩე — ძმებთან!

უცრად ხელახლად გაისმა ხმა საუკიროსა და შეუდრებია უდაბ-
ნოსი დარღვეულ იქმა ადამიანის ძახილითა და კიჟინითა; თითქო ჯა-
დომ ჩაუდგა სული ამ უნერ უდაბნოსა და ქვეს და კლდეებს ხმა
ამოაღებინაო ასეთი ჟღერამუელი ადგა.

— გვიანდა, გვიან! ჭსთქვა ჰავლეკი: მე რომ შემძლებოდა, მე
რომ მტოღნოდა...

— ჭი, ჭი, ღვთის მოშიშო ჰავლეკ! გაწვეკტინა ფიქრი ქალის
ხმამ, რომელიც მადლიდამ მოისმა: გერმასი კარგათ არის, გერმასი
ხელახლად აქვე! აბა შეხედე ზეკით, იქ ბაიარლი ფრიალებს, იმიტომ-
რომ გერმასმა შეატოებინა ფარაულებს. ბლემიელები მოდიან და გერმასმა
შენთან გამომგზავნა რომ გიპოეო სადმე. ჩქარა წამოდი, იმ ბურჯში
გელოდება, რომელიც გზის მხარ-მარჯვენე არის. ჩქარა! ნუ იგვიანებ!
გუსმის, ჩქარა მეთქი! იმის სიტყვას გეუბნები, ჩქარა მეთქი! ეგ გულ-
ზედ ვინა გეავს მიერდობილი — ეგ ხომ...

— პოლიკარზია, პოლიკარზია, უზასუხა ჰავლეკი: შეილი შენის
პატონისა, უგანსკენელ დღეშია. გაიქცე და შეატოებინე სენატორს,
შეატოებინე დოროტას. ..

— მე ესლა სხვა საქმე მაქვს უზასუხას მიწიამმა: გერმასმა ბეერ-
გან სხვაგან გამგზავნა და იქ მიუღივარ. სოფელში კი რომ ჩავიდე,
პატონები დამაწვედკენ და არსად აღარ გამიშვებენ. რა დამართვიან
საწყალს? მაგრამ ესლა ეგ რა საკითხავია! დღეს შენ უფრო მძიმე
საქმე გაქვს. აქ მდგომს და სენატორის დედის ნებეერ შეილზედ გან-
ვილი დღეს არაფრად მოგიხდება: ჩქარა წადი გერმასთან, მეთქი, ეგ
ან მანდ დაგდე, ან წაიდე შენს ახალს ბუდეში და გადაეცი შენს
პატრონაღალს — ქალი უფრო კარგად მოუფლის...

— აი შე წვეულა, დაუვირთა ჰამლეკი და ქვას ხელი წა-
მოაკლ...

— დასნებე მაგას თავი მეტქი გეუბნები, უძახდა მიწიაში თორემ წავალ და ფეხების შეგატყობინებ. ახა ნუ აასრულებ გერმანის სიტყვას და მე გიხევენ რასაც გიზამ. მე ესლას სხვებთან წავალ და იმედი მაქვს ბურჯში ვინახვით ერთმანეთს. ჰა, დიდხანს არ დაგაკვირნოს შენმა რქორს თბიანმა მეგობარმა— შე ღვთის მოშიშო პავლე, შე, წმინდა პავლე!

მიწიაშია ჰსთქვა ეს და მოჭყვა ხმა-მადლივ ხანხანს და იმ ხანხანით კლდიდამ კლდეზედ მიფრინავდა თითქო ჰსერში ჰსტურავსო. პავლე გაჩაგრებული თვალს ადევნებდა, ბოლოს იგრძნო, რომ კარგი ურჩივს, წამოიკიდა სწრაფი პოლიკარში და წაიღო თავის მღვიმესაკენ. ჭერ არ მისულიყო მღვიმემდინ, მოესმა ფეხის ხმა და მწუხარე რხერა და ვაება და რამდენსამე წუთს შემდეგ თვითონ სიჩინაც დაუდგა თვალ-წინ. გამწარებული სიჩინა გულ-მოწყლულის ხმით მოჰსთქვამდა:

— პოლიკარშია, პოლიკარში! სწორედ ის არის, სწორედ! მაგის სიკვდილი შეუძლებელია. ეგ რომ მოკვდეს, მამ თქვენი კაცთ-მოყვარე ღმერთი, ღმერთი მოწყალებისა და სიუკარულისა უღმობელი, უწყალო და შეუბრალებელი ყოფილა.

სხვა კვლარა ჰსთქვა რა, რადგანაც ცრემლმა და ტირილმა ხმა წაართვა. პავლე კი წინ მიდიოდა და მის უკედრებს და გულის-წვას უურს არ ათხოვდა. შევიდა მღვიმეში, დაასვენა გრძნობა დაკარგული ჰბაბუკი სიჩინას ლოკინზედ და როცა სიჩინამ პოლიკარშის წინ ჩაიხრქა და ტუჩებით ზედ დააკვდა ჰბაბუკის უღონო ხელს, მაშინ პავლემ უთხრა წარბ-შეკვრით, მაგრამ აღერსით კი:

— თუ ეგ უმწაილი გიყვარს, ესლას მაგ გოდებას თავი დასნებე გუშინდელს აქედ მიმიედ დაჭრილია თავში. მე ჰჭრილობა მოგბანე, ესლას შენ შეუხვიე ფთხილად და კარგად დაუსგელე ხოლმე შეხვეული ცივის წელით. ხომ იცი საცა არის წყარო. როცა მოსურნიელობა, ფეხები დაუხილე, პური აჭამე და რამდენიმე წვეთი ღვინოც დააღვინე. ღვინო აჭავე სარდაფში, იჭავე ზეთიც სასათურისათვის. მე კი

უნდა წავიდე ჩემ სულეირ ძმებთან და თუ ხვალამდე ვერ დავბრუნდით, ეგ საწყელი ჭახუგი დედას მისას ჩაახარე. ესეც უთხარი, რომ მე, ჰაკლემ გუჯავრებულ გულზედ მოგვიყალ შეილი თქო და თუ შეუძლიან შემიხდოს დედამაც და მამამაც შენც შემიხდე რაც შეგეცოდე და თუ რაში მომკლეს, ილტვით ჩემთვის ღვთისა წინაშე რომ ძლიერ არ დამსჯოს, რადგანაც ცოდვანი ჩემნი დიდნი და მძიმენი არიან.

ამ დროს მღვიმეში შემოისმა საყვირის ხმა. სიზრნა შეფთხა და ჰსთქვა:

— ეგ რომაელების საყვირია, მე მაგ ხმას ვიცნობ. უსათუოდ თუბიტი აქ სადმე მოგზაურობს!

— იგი თავის მოკალეობას ასრულებს, გაწვეკტინა სიტყვა ჰაკლემ: ერთი კიდეც რომ უნდა შეოქვა: მე წუხელ შენს ხელზედ ბეჭედი ვნახე.

— აი აქა გდია, უზასუხა სიზრნამ და თითით მიანიშნა.

— მაშ იქავ იყოს, ჰსთხოვა ჰაკლემ, ხელახლად გადაეხვია სწუელს და აკოტა შეუღებედ, შერე პირფეკარი გადაჰსწერა სიზრნას და გამოკარდა მღვიმედამ.

XVIII

ჰაკლეს ბძანების მოწინააღმდეგე გერმანსმა გამოართვა სამგზავროთ თუელი ჰაკლეს, შეიღდ-ისარი მოიძინათა, ჩაიწყო საგზლად ზური და წყინარად გამოეთხოვა მძინარე მამას და წავიდა რაიტას.

თავი მოსწონდა რომ ამას მიანდეს ამისთანა თავ-მოსაწონებელი და გაყ-კავის ღირსი მძიმე საქმე. გულში ჰგონებდა ღონეს და ვაჟ-კაცობას და უხარდა. გზათ მიმავალი ჰფიქრობდა მარტო იმას, რომ რაც უნდა დაემართოს, თუნდაც მომკლან ვიდევან მე ჩემს მონღობილს საქმეს უნდა თავ-დადებით შევეუდგეო. ამ აზრით გამხსნეკებული აჩქარებით მიდიოდა და მთვარისანი ღამე გზას უნათვიდა. საცა გზას მისახვევ-მოსახვევი ჰქონდა, იმას თავს ანუებდა და პირდა-პირ მიბობდავდა კვდელებზედ, რომ მით გზა შეემოკლას და პირ-

და-ზირ გადაეჭრა. ეაკესედ ისე გამალებული მიდიოდა, თითქო უკან მტერი მიჰსდევსო. მზე რომ ამოვიდა, ცოტად დასაურდა და ისევე გაუდგა გზას იმავე სიჩქარითა. ამ განსარკებულ სიარულში ჯღერ აგონდებოდა არც სიჩინა, არც თავისი ფოთელი ამბები; ის სულ იმაზედ ჭფიქრობდა თუ როგორ მივა დანიშნულს ადგილს, როგორ დასკე-რავს ბლეშვილებს, როგორ გაუგებს განზრახვას და როგორ მალე მოიქცევა უკან თავისიანებში.

ბოლოს როცა თან-და-თან უფრო და უფრო დაღლილობა გამოაჩნდა, როცა შუადღის სიცხემ შეაწუხა, სისხლი აუკარდა თავში და გულმაც ცუმა მოუჩქარა, გერმასს ყოველივე ფიქრი მოესპო და ესლა წინ ეწეოდა მას მარტო ერთი სურვილი დროზედ მისვლისა და დაბრუნებისა.

როცა გერმასი მივიდა რაილასში ზღვის ზიჩს და ექებდა ჰატარს რომ ნავი ეჭირავნა წასასვლელად, მაშინ ორი ცხენოსანი მოახლოვდა ნავთსადგურს სანა მრავალთა გემთა შორის ერთი დიდი ხომალდი იდგა დაბოული. მენაკემ, რომელსაც გერმასი ნავის ქირაობას ევაჭრობოდა, დაანახა ის ორი ცხენოსანი და უთხრა:

— ეკუნი ქარკასს ელიან. აი ის უფრო ხნიერი რომ არის, დიდი საზღალოს იმპერატორისა, იგი უფროსია აქარუებისა.

გერმასმა აქ ჰიჩვეულად ნახა ფეხიცი და როცა ფეხიცი წამოვიდა იქითკენ, სანა გერმასი და მენაკე იდგნენ, გერმასს ფიქრი მიეცა. ჰიჩვეულს გულის—თქმას რომ აჭეოლოდა, გერმასი უნდა გაქცეულიყო აქედამ, მაგრამ თვისი ბრწყინვალე თავლი რომ გაუსწორას მოქანტულს და განჭვრეტავს თავლს ცენტურიონისას, აწითლდა, შედგა, დაიკრიფა გულზედ ხელები, თავ-მოწონებით მოიმაჯჯვა მხარ-ბეჭი და დაწყო რდა ფეხიცის, მოვიდეს და აბა ვნახოთ რასა იქმსო.

მოვიდნენ ის ორი ცხენოსანი. ერთი ფეხიცი იყო და მეორე თალიბი. თალიბს ენახა უწინაც გერმასი, ესლა იცნო და ჭკითხა. დიდი ხანია აქა ხარო? გერმასმა შეატყო ესენი ამის საქმეზედ არ არიან წამოხუდნი და გული დაიმშვიდა. სრულად გულ-დამშვიდებულ-

მა დაუწყო სინჯვა ტერტორიონს და პირსედ სიცილი მოაღვა, როცა
ნახა, რომ მჭლე ქანც-გაწვეტილი ბებური ისე დაღლილია ცხენზედ,
რომ ძლივს და იწდა ხედ. მაშე ეს სამსახრო აღმანია ქმარი—იმ
ახლად გაშლილის და სიტოცნლით სავსეს სირონსი!

გერმანს ისე მოუვიდა გული ფეხბედიზედ, რომ გულში ჭსოქვა:
მაშე ამას იქით სანანუდადც არ უნდა შეხედეს, რომ ამისთანა მას-
ხარად ასაგდებს ქმარს სახლში შეუკარდია და როცა ფეხბედი ჭკით-
ხა: ხომ არ გინახავს სადმეა ქერა თიანი ქალი პატარა ფეხ-მოტე-
ხილ ძაღლითაო, გერმანსა მასხარად აიგლო და უპასუხა:

— როგორ არა, სწორედ მაგისთანა ქალი გინახე, ძაღლიც ჭყან-
დაო, მაგრამ ძაღლს კი, მოხნია, კოჭლობა არ ეტყობოდა.

— სადა ჭნახე, სად? მოუთქმენლობით ჭკითხა ფეხბედი.

გერმანს გაწითლდა, იპიტომ-რომ ტყუილი უნდა ეთქვა და
ტყუილით იქნება ეგნო კიდევ რომ სირონსათვის. ამიტომაც არ მიჭ-
სდა პირ-და-პირი პასუხი და მხოლოდ ჭკითხა:—განა იმ ქალმა დაა-
შავა რამე, რომ აგრე გამოჭსდგომიხარო?

— დიდად დააშავა, უპასუხა თალიბმა: ის ქალი ამ პატონის
ცოლია და...

— რაც დააშავა ეგ ჩემი საკუთარი საქმეა, მკახხედ გაწვეტიონა
ფეხბედი სიტყვა თავის მხლებელს: რა გქვიათ შენ, ჭახუკა?

— გერმანსი, უპასუხა მან: შენ ვილა ხარ?

ფეხბედის ძალიან უნდოდა რომ ერთი მრისხანე პასუხი ეთქვა ამ
კითხვაზედ, მაგრამ სურვილი მოიკლა და უპასუხა:

— შე ვარ ტერტორიონი იმპერატორისა და გკითხავ შენ: რა
სახისა იყო შენგან ნახული ქალი და სად ნახე?

გაბორტოებული თვალი მხლებელისა და რიხიანი სიტყვა მის უფ-
როსისა უმტყვიებდა გერმანს, რომ სირონსა კეთილი არ დაეყრება,
თუ ამით ჩაუკარდათ ხელში და რადგინაც სრულებით არა სურდა რომ
სირონსა მდევნელთ რაშიმე გამოადგეს, სამსახროდ მომართულმა გერ-
მანმა მიჭსდა თავს ნება და უპასუხა:

— მე ხომ ის ქალი არ მინახავს, რომელსაც თქვენ ეძებთ, იმიტომ რომ ის, რომელიც მე ვნახე სწორედ ამ ბატონის ცოლი არ იქნება, აბა როგორ იქნება, რომ ჩემგან ნახული ქალი ამას შვილი-შვილად ძლივს შეეფერება! მე რომ ქალი ვნახე აქრას ფერი თმა ჰქონდა და ძაღლსაც, რომელიც თან მისდევდა, იამბას ეძახდა.

— სად ნახე, მეთქი, დაუყვირა ცენტურიონმა.

— აიმ მეთევზეების სოფელში, მთის ძირს. იქ ნავი იქირავა და ზღვით გაემგზავრა.

— საით, ჩრდილოეთისკენ? ჰკითხა ფეხიციმი.

— მგონია, მაგრამ სწორედ კი არ ვიცი, იმიტომ რომ მე ჩემი საქმე მქონდა და თვალი ვერ ვადევნე.

— მამ კლისმაში უსათუოდ დაგვევით და დავიტერთ, უთხრა ფეხიციმი თავის მსლებელს თაღისს. ოღონდ ერთი ახალი ცხენები კი ვიშოვოთ ამ რხეის უდაბნოში.

— ოთხის დღის სავალია, უზასუხა თაღისმა: და რა კი კლიმს განუდებით ასეთი უწულო ადგილებია, რომ წკეთს ვერ ვიშოვოთ მოსეს წყარომდე. მაგრამ თუ კარგი ცხენები ვიშოვოთ კი...

— თუნდაც რომ აშოვოთ, განწუგებინა სიტყვა გერმანმა: შენ, ცენტურიონო, აქაურებს არ უნდა მოშორდე, იმიტომ-რომ ბლემიელები დაცემს თურმე აზირებენ. აი რაწამს ჩამოხანდავს მე უნდა წავიდე იმათ დასაწყევლად.

ფეხიციმი თავი დაჰკვიდა და გავაგრებით დაიწყო ძირს ყურება. ამასაც მოსულოდა ამბავი, რომ ბლემიელები აზირებენ დაცემას. მოტრიალდა, ზურგი შეაქტია გერმანს და უთხრა თაღისსა:

— შენ მართლა უნდა წახვიდე კლისმაში და ეცადე, როგორმე დაიჭირო. იმ უღირსის ქალის გულისათვის მე არ შემოდინან ვუღადატო ჩემს სამსახურს და აქაურებს თავი დავანებო.

ცხენებსები წავიდნენ, გერმანი შესტყეროდა წარმავალთ და გაიცინა, როცა დაინახა რომ ორნივე დუქანში შევიდნენ.

მინამ წაწკლის დრო მოვიდოდა, გერმასი ჩაწვა ნაგში და მიეცა ღრმა ძილსა. მთვარის ამოხვლის დროს გააღვიძეს, წაღვანტ ნათქვამში ქქონდათ, ჩათორეს ნავი ნაქირავნები, რომელიც ზღვის ზირსედ ქვიშაზედ ეგდო, მენაკემ ჩაუსკა გერმასს ნაგში ჰატარა ბიჭი, რომელიც ნავის ხმარება იცოდა, და გაისტუმრდა. როცა გერმასმა თავისთავი ზღვაში ნახა და ზღვას სიომ დაჭკრა, გაუმხიარულდა გული, როგორც არწივის ბახლას, როცა ზირველად თავს ანებებს თავის დედის ბუდეს, დაფრინდება და ნავარდზედ წავა. თავისუფლად, თავისნებად ყოფნამ ისეთის ტკბილის ამოგნებით აუგრო გული, რომ გერმასმა სიხარულით კინაღამ არ დაძახა და ჰატარა ბიჭს, რომელიც ჰმართავდა ნავს, გაუკვირდა, როცა ნახა რომ გერმასი თუმცა უხერხოდ, მაგრამ ისე ძლიერ ჰსცემდა ნიხახსა, რომელიც გერმასისათვის მიენდო.

— ქარი სამეოფთა, უთხრა ბიჭმა გერმასს და ამართა იაღქანი. უშენოდან ძალიან კარგად მიდის ნავი. ისა ჰსჯობია ღონეს გაუფთხილდე.

— ნუ გეშინიან, მე ღონე სამეოფი მსქეს და გაფთხილება სსჭირო არ არის, უხარუხა გერმასმა და გადაწია უკან რომ უფრო ღონიერად მოუსვას ნიხები. კარგა მანძილი რომ გაიარეს, გერმასმა ნიხის სმას თავი დაანება და დაისვენა. მას გულს ურთობდა მთვარე, რომელიც ზღვის ზედა ზირზე გამკამებდა, როგორც სახე სარკეში. მთვარის შუქმა მოაგონა პეტრეს ეზო, რომელიც ამ ფერისავე შუქით იყო განათებული იმ დამეს, როცა ფანჯრიდამ ესტუმრა სირონას. წარმოუდგა სახე ღამისა ქალისა, მისი თოვლივით თეთრი ხელები და ყოველმა ამან ცრცხლი შაპარა გულში.

ხელა ამოიხრის ერთხელ, ორჯულ და როცა გულმა მესამედან დააპირა მტკიუნეულობით ამოკენეს, მოაგონდა ის საქმე ოსთვისაც წამოსული იყო, მოაგონდა რომ ყოველი ბორკილი შინ დაავდო დამსხვრეული, გათამამდა, წაავლო ხელი ნიხახს და ისეთის ძალით მოუსვა, რომ წინწკლები წვიმისავით ჩამოცვივდა ნაგში და შიგ მსხდომი

დასკედა. ხელახლად მოჭყვავ ნიზის მოსმის და ქსთქვა, რომ მე ეს-
ლა უფრო უკეთესი საქმე მიძევს წინაო, ვიდრე ღამის ქალებსედ
ოცნება და სიზმებია. ადვილად მოიძორო სირონასედ ფიქრი, რად-
განაც ამ ბოლოდელ დღეებში გული უტემა მარტო ღამ-
ქრობისთვის და ვაჟ-გატობისთვის.

ოცნებას ან გაუგებია, მის აქედ, რაც რატიდამ გერმანის წამო-
ვიდა ნავით რომ ფეხი დაადგა კიდევ სხვა მეორე ნაწილს ქვეყნისას*),
ნავს კაი ადგილი უზოვა, დაბა და მანინე მოჭყურცხლა მთებისკენ,
რომ იქიდა დაეხერხა ბლემიელნი.

ზირველ დღესკი შეემთხვა ერთს ვაკე ადგილს მთებშუა, საცა
ბლემიელებს თავი მოეყარათ; მეორე დღეს როცა შეუტყეს მზგე-
რობა და დასტურად დაედგინენ, მანინ როგორცაღ მორუიდა და დი-
ჭირა ერთი იმათი ჯარის-გატობანი სასურვად გამოგზავნილი. მაგ-
რა შეუგრა ხელები და მუქარით ბეერი რამ გამოათქმევიანა. ჯარნი, რა-
მედიც აზირებდა დაცემას, დიდაო, მაგრამ გერმანს იმედი ქქონდა,
რომ მე ამით წინ მივასწრობო, რადგანაც ტყვეთ დაჭერაღმ მის-
წავლა, საცა ქქონდათ დამალული ნაკები, ჯარების გადასაყვანად.

რასამსაც ჩამოხიდა, გერმანსმა გასწია თავის ნავისაკენ და რა-
ცა ბლემიელებმა ბნელში ჩამოათრეის წყალში თავისი ზირველი ნა-
ვი, გერმანსი წინ წავიდა, დიდის ფათურავით მიადგა მთის-ძირს და-
სავლეთის მხრივ და გაიქცა სინაისაკენ, რომ შეატყობინოს მთის ყა-
რულებს.

მინამ მზე ამოვიდა, გერმანსი მთის წვერსედ ავიდა, ცაღვიძის
მძინარე ვარაულები და მინამ ესენი მღევარს დაიძახებდნენ, ალამს
გამოჭვიდებდნენ და საყვირს დაუვირებდნენ, გერმანსმა განჭურცხლა,
დაეშო დაბლა და თავის მამის მღვიმესთან მივიდა.

მის აქედ რაც გერმანსი სხვაგან წასულიყო, მირიამი არა შორ-
დებოდა სტუფანეს მღვიმეს და დილით, შუადღისას და საღამოს ახალს

*) ნანევარ კუნძული, რომელზედაც სინაის მთა არის, აზიაშია და ვიწრო ზოლი
მეწაჟლის ზღვისა ჭეოფს სინაის და ეგვიპტეს, რომელიც აფრიკაშია.

წყალს უზიდავდა. მიწიანი იკვებებოდა ძირხეუნითა და ზუჩითა, რომელსაც აძლევდა ხოლმე სნეული სტუფანე და ღამით იძინებდა კლდის ნახეთქში, რომელიც ჰერ უწინვე მწყემსობის დროს შემხნეული ჭქონდა. მზის ამოსვლამდე წამოხტებოდა ხოლმე, წავიდოდა, მოუტანდა წყალს სტუფანეს, მერე მოუჯდებოდა და დაუწებდა ღაპანაკს გერმანსებად. სიამოვნებით ემსახურებოდა მოხუცს, რადგანაც როცა კი მოვიდოდა, მოხუცი თავის შვილზე მოჭყვებოდა ღაპანაკს და მოხუცს კიდევ ესიამოვნებოდა ამისი მოსვლა, იმეტრამ-რომ შეიღებდ ღაპანაკის შემთხვევა ექნებოდა ხოლმე.

რამდენიმე კვირის განმავლობაში მოხუცი ისე შეეჩვია მოკლას და ღოღოებას, რომ სამსახურს მიწიამისას არაფრად ჭსთვლიდა, თითქო მანთლას და ეტ მიწიამის ვალი იყო, თვითონ მიწიამისაც კი ერთხელაც ფიქრადაც არ მოსვლია კვითხნა: შითამ რა ჩემო, რომ ამ სნეულს კემსახურებო.

სტუფანეს ადვილად შეეძლო გაეძლო უმიწიამოთ, მიწიამისთვის კი წყაროზედ მისვლა-მოსვლა და მოხუცთან ღაპანაკი წყურვილად გადიქტა, რადგანაც ჰერ არ იცოდა ცოცხალი გერმანსი, თუ ფეხიციმი მოაკვდინა, თვითონ მიწიამის დაბეზლების გამო.

იქნება ის რასაც, ამბობდა სტუფანე შეილის სადღაც გაგზავნაზედ, მრგონილი იყო ზავლესაგან, იმისათვის რომ საწყალს მამას უეტრის ამბით გული არ გაუხეთქოს და ცოტ-ცოტათ შეაპაროს შეილის დაღუპვის ამბავი. მაგრამ მანაც უფრო ჭსწამდა, რომ გერმანსი ცოცხალი და თუ მზის ამოსვლამდე მოვიდოდა ხოლმე სტუფანესთან და შუალამედინ რჩებოდა, იმ იმედით რჩებოდა, რომ თუ გერმანსი ცოცხალია, მოსვლის უმაღვე აქ მამასთან მოვა. საწყალს მიწიამს ერთი წოთი მოსკვნებაც არა ჭქონია, იმიტომ რომ ყველაფერი უფთხოდა მოსკნის: ჩამოკარდებოდა თუ კლდიდამი მორღვეული ჭკა, ანუ მოესმოდა ფეხის ხმა ნადირისა, ყველა ეს ანტექტი-ნებდა ეურტოს ხოლმე საწყალს ქალს და აუფეთქებდა გულს იმდენად თავის ბატონის პეტრეს შიშით არა, რომელსაც გამოექტა, რამდენა-

დაც იმ კაცის ღოდინითა, რომელიც მტერთან დაბიზღა და რომ-
ლისთვის დღე და ღამ უკენსოდა გუჯი და ეტანჯებოდა.

როცა მიწიამი წყალზედ მივიდოდა, თავის აბურძნულს ამებს
ღანსკულებდა ხოლმე და დაივარცხნიდა და ისეთის გულ-მოდგინებით
იხესამდა ზიზას სახეს, თითქო უნდაც შავკრემანი ფერი გადიტყავო-
სო. უოკელს ამას გემასისათვის სხადიოდა, უნდოდა თავი მოეწო-
ნებინა ისე, როგორც მოაწონა თავი ზირ-თეთრმა სირონამ, რომე-
ლიც იმოდენად ჭმუჯდა მიწიამს, რომოდენდაც უყვარდა გემასს.

ბოლონდელს ღამეს, როცა იმისთანა საშინელი წვიმა, ჭექა და
ქუხილი იყო, მთის ნიაღვარი შეუვარდა მიწიამს კლდის ნარღვევში,
საცა დასამინად მიდიოდა ხოლმე მას აქედ რაც ბატონს გამოეჭტა.
თავიღამ ფეხმდე ამოწყული, უბინაო, დევნილი სინიდის ქიფნითა,
შიშითა და მწვანის ნაღველითა, გამოვარდა კლდის ნარღვევიდამ და
ხან აქ ამოეთარა გვას, ხან იქ, ხან ამ და ხან იმ კლდის ქვეშ ეკბ-
და თავის მისაყრდამს ადგილს. ამ ყოფაში თვალი მოჭკრა ნათელს,
რომელიც გამოდიოდა ჰავლეს ასალ მღვიმედამ, მივიდა დაინახა ჰავ-
ლე და იტნა, ჰავლე კი ვერ სედავდა მიწიამს, რადგანაც ტყნულა ზი-
რას იჯდა, ზურგი მიწიამისაკენ ჭქონდა შემოქცეული და ამასთანავე
ღრმა ფიქრებში იყო წასული. ესლა კი შეიტყო სადგური განდევნი-
ლის ჰავლესი, რომელსაც ასე სშირად ჭკითხულობდა ხოლმე სტეთა-
ნი. სნეულის ჩივილით და ორიოდ უნებლიედ წამოცდენილ სიტყუ-
ბით მიწიამმა შეიტყო, რომ მის მტერ-მოყვარეს სირონას გაუბანს
მხეში ღვთის მოშიში ჰავლე და დაუღუნია.

როცა აღიონი გაქრა ცაზედ და რიყრავი მოახლოვდა, მიწიამმა
გამოჭწია სტეთანეს მღვიმესაკენ. გულში მოჭკუბებოდა ცრემლი და
კრას ღონით თვალთავან ვერ წამოეწურა, რომ მით გულის ტკივი-
ლი დაუეწებინა და მწვანის მწუნარებისაგან შეება მიეღო. ამ ყოფით
მიუახლოვდა სტეთანეს მღვიმეს უნდოდა აქვე დაცემულიყო და სუ-
ლი დაეღია, რომ სიკვდილით მანაც მოეშორებინა ის ტანჯვა, რომ-
ელიც მოსვენებას ან ამლეკდა.

ჟერ კიდეც ძალიან ადრე იყო და მოხუცის ძილის გაკრთობას მტყობდა. მაგრამ კერას ცხით ვერ იშორებდა წუფრვილს, რომ ვინმე გაეხმაროს, ვინმემ უთხრას სიტყვა, თუნდაც მრისხნე და გულსაკლავი, ოღონდ კი უთხრას რამ, იმიტომ-რომ ეგრე ნადირსავით უფიქრია, სულის შემსუთველი და გულის მომწველელი, ვაჟა მარტო-ობისა, ძლიერ ქსტანჯუდნენ სწყაფსა.

შირიაში ჟერ არ შესულიყო ძველივეში, რომ მადლიდამ მკესმა ქვების რახა-რუხი და ადამიანის ძახილის ხმა. განციოტრთდა, კისერი გაიწვინა და დაუწყო გულ-მიღეულობით უურის გდება. ერთბაშად ხმა-მადლა დაიკვილა განარებულმა და ხელე გაშლილი გაიქცა, რომ წინ აეგებო.

— გერმას! გერმას! ჰევიროდა განარებული ქალი და ბრწინვა-ლე, როგორც მსუ, ნეტარება მისის სულისა ისე ცხადად და უმანკოდ გამოჰქრთა ამ ძახილში, რომ ჭაბუკის გულში თანაგრძნობის სიძინი შეიძინენ და იმანაც სიხარულით სავსე საღამო მოჰსტა პასუხად.

ასეთი ტბილი და ალკისიანი საღამო თავის დღეში გერმასის-საგან არ ენახა და როგორც წუფრვილით მომავკადავს წყაროს წყალი სუვარელის ხელით მიწვდილი, ისე გერმასის ტბილი საღამო ნეტარებათ გადაქცა საბრალო და დატანჯულს სულს შირიამისას. აღტაცებად და სიხარულმა, რომელიც აქამომდე არასოდეს არ ეგრძნო, დაუბინა მთელს აგებულებაში და რადგანაც გერმასი ასე კარგად მოექცა, თვითონაც უნდოდა ეგებებინა, რომ არც მე ვარ უმადური, მეც შემოდინი სიკეთის სამაგიეროს გადახდა. აი ამ მიზეზით ყველაზედ უწინარეს ეს უთხრა გერმასს:

— მე მამა შენს ერთს წუთსაც არ მოეშორებიაკ, სულ იმასთან ვიყავ, დილით ადრე და ღამით კვიან წყაფს უზიდავდი, რამდენიც კი საჭირო იყო.

სიწითლე კი მოსდიოდა, რომ თავის-თავს ასე აქებდა, მაგრამ გერმასმა უპასუხა:

— კარგად გიქნია, კარგად და მე თავის დღეში მაგას არ დავივიწყებ. შენ—ერთი ნადირსაგით ფერთხალი, უგუნური ბავშვი ხარ; მაგრამ მეონია, რომ ვისზედაც გუფი საკეთილად გეთქმის, ის შენში არ მოტყუვდება არას დროს.

— აბა მტადე! უზარუნა ქალმა და გაუწოდა ხელი.

გერმასმა ხელზედ ხელი დაჭკრა, და უთხრა:

— აბე გესმის საყვირის ხმა? მე ყარაულებს შევატყობინე კადეც: ბლეშმიელები მოდიან. შავლე მამასთან არის?

— არა, მაგრამ გიცი გი სანაა.

— მაშ წადი დამძახე, გაწყვეტინა სიტყვა ვაწყველ-კატმა: ჯერ შავლე, მერმე სხვანი მეუღახნოენი, ვისაც გი ნახამ. უთხარი, ყველამ თავი მოიყაროს ბუჩქში; აი დიდს გზაზედ რომ არის. მე მამა ხემსაც იქ გადმოვიტან; შენ გი დაეშურე შენს საქმეს და დამტვიცნე, რომ ვინც შენ მოგენდობა, არ ენახეს.

ამ უგანსკელ სიტყვებზედ გერმასს უნდოდა მოხევენა, მაგრამ შიდაშიმა ითავილა, გამოუსლტა ხელიდამ, გაიქცა და შორიდამ დაუძახა:

— დაიცა, მაგას ყველას შევატყობინებ, ყველას!

მღვიმის კარებში, სანა შავლე ეგულებოდა, სირთან დახვდა, მაგრამ არ შეხერდა, ერთი ორიოდე მკვასე და სწყენი სიტყვა მიატყვა და კასკასით დაეშვა თავდაღმართზედ.

ხაიზბინა წყაროსაკენ, იქ იპოვა შავლე, უთხრა რაც სთქმელი იყო, მერე დაუბინა ყველა მღვიმეებს, ვინც ნახა, გერმასის დაბარებული უთხრა და ასე აასრულა გერმასის მიხდობილობა.

XIX

ციხის კედელს უგან, დიდის გზის ზირზედ თავი მოიყარეს ყველამ იმ უცნაურმა კატებმა, რომელთაც მხურგი შეატყიეს. ამ წყითის სოფელს, გამოეცალნენ მის ცხორების დღედილს, მის ლხინს და ჭირსა, მის ტირილსა და სიცილსა, ვაგბას და სიხარულსა, მოშორდნენ სახლს, კარს, ცოლ-შვილს, თვისსა და ტომსა, და გა-

მორცივდნენ და შეეფარნენ უსიხარულო უდაბნოს, ეველა გულის წა-
 დილი მოიკლეს და მიეცნენ მხოლოდ ერთს საგანს რომელიც ხორ-
 ციელ ცხოვრებასედ უმაღლესია. ამ მიერუებულს უდაბნოში, სადა
 ქვეყნიერების მაცდურნი ხმები ვერ მისწვდებოდნენ, უფრო ადვილად
 შესაძლო იყო გაცნა თავისი ხორციელნი წადილნი მოეკლა, მოეკლა
 გულის თქმანი და ვნებანი და ამ სანით მიემტკიცესუბინა ადამიანს
 არსება, ამაბაზსედ გადაგებული ცოდვისა და ხორცისაგამო, წმინდა,
 და ხორცთ-უხსმელ ღვთაების არსებისათვის. ეველა ეკენი ქრისტიან-
 ნები იყვნენ და როგორც მაცხოვარი ნებისითი წამებით შეიქმნა
 მსხნელად, ისეც ესენი ცდილობდნენ მარხულობის განმწმედელის ძა-
 ლითა განთავისუფლებულიყვნენ ადამიანის უწმინდურის ბუნებისაგან
 და მძიმე სინანულითა მიემართათ თავისი სიტყვასეუ, ისე რომ გა-
 მოეხსნათ თავნი თავისნი და მთელი თავისი ხალხი ცოდვათა. ან. დევ-
 ნულობის დროს კი არ გამოიყვანა ეკენი უდაბნოში, არამედ სასაყ-
 ბამ რომ ამ ძნელს ძლევა-მოსილობას მოიპოვებენ.

ეველა ბერ-მონაზონნი, ბურჯთან თავმოყრილნი, ეკვიპტელნი
 და სირიელნი იყვნენ. შიშინობამ მალე მოუყარა თავი ამ წუთის-
 სოფლის და სააქაო ცხოვრების მოძულეთა. მარტო ერთი მარხუცი
 გლსმასი დაჩნა თავის მღვიმეში და თავის თანა-მოძმეს გელასიას,
 რომელიც უჩრევდა ციხეში თავის შეფარებას, უთხრა: „ჩემთვის სულ
 ერთია ყოველი უამი და ყოველი ადგილი, საიდამაც კი მიმიწვევს
 უფალი და ღვთის ნებასედ დამოკიდებულა, — რამ უნდა განმეღოს საი-
 ქიოს კარი: საბურჯი, თუ სასაბა მტრისამ.

სულ სხვას ჭიფიჭრობდნენ დანარჩენნი განდევნილნი, რომელნიც
 ისეთის მოუთმენლობათ ერთმანეთს ეცილებოდნენ, რომ იტყვებოდ-
 ნენ ბურჯის ვიწრო კარებში და თვითონ ზატარა ბურჯიც სულ საუ-
 სეს. ზავლემ ნახა რომ ამისთანა ვიწროობა კარგს არას მოასწავებს.
 იძულებულ შეიქმნა ადარავინ შეეშვა.

არაფერი ჭიჭი, არაფერი შესაყარი ისე მალე არ გადადგება ერ-

თის ცნოველისაგან მეორეს, ერთის ნაყოფისაგან სხვას, როგორც შიში და კლდა ერთის კაცისაგან მეორეს.

ვისაც შიში უფრო ძაღიან მორეკოდა, ის წასაკვირველია, ყველაზედ უწინარეს მოვარდა ბურჯთან და თავი შეაფარა. ტირილითა დაუხვდებოდნენ ხოლმე წინად მოსულნი ახალ მოსულებს და სცადავი სანახავი იყო, რომ ეს ფარა, ზიზადა ისე ხმა-ძაღლა და სასკობით ღვთის ნებაზედ თავ-დადებულთა, შიშისაგან ხელებს იმტკრეკდა და ცდილობდა თავისი პატარა თან-მოტანილი ქონება გადერჩინა ჯერ თავის თან-მოხარეთა ხარბობისაგან და შემდეგ მოაღწინებულის მტრისაგან.

პავლესთან ერთად მოვიდნენ სურგია და იერემია, რომელთაც პავლე გზა-და-გზა ანუგეშებდა. ეს სამივე იმედს აძლევდნენ შიშით ატარებულთა ბოლოს პავლემ უთხრა: „ამ ორიოდ კვირის წინად ბერძნმა თქვენგანმა დიდი მონაწილეობა მიიღო ქვებისა და ხეების აზიდვაში ან იმ ფერდობზედ, ქვები და ხეები მოკვაროვით მაშინ იმისთვის, რომ ხელცარიელები არ დაეხვედროდით მტრებსა და ქებისა და ხეების დაგროებით მტერი მოგვეგებებინა. ესაა დრო მოვიდა, ძმანო, წავიდეთ და ხვენი ვაღი ავასრულოთ.“ ამის განგონემ ზოგმა გულში ჭსთქვა: „ნეტა სხვანი წავიდნენ და მე ვი აქ მამყოფა.“

ბერი არ გამოჰყვა ბურჯიდან პავლეს, შერე ვი როცა გერმასი გამოხნდა და სხეს რომ ზურგზედ მამა ჭკიდა და თან მირამიც მოხდევს, პავლემ უთხრა, თავის მოძიებებს, ერთი გამოხედეთ და თქვენის თვლით ნახეთ გულის მოსაღობი მგაღითი მამა-შვილების სიყვარულისა, მაშინ ცნობის მოყვარობამ ყველანი, ვინც ვი ბურჯში შემწევდებულნი იყვნენ, გარედ გამოიწვია. თვითონ პავლე ვი წავიდა, წინ მიეკება სტიფანეს, ჩამოაჩთვა იგი ზურგიდან ხვეშით მომავალს ჭაბუკს, თვითონ წამოვიდა და წამოვიდა ბურჯისაკენ. ხოლო სტიფანეს, როგორც ძველს მეომარს, ეთავილებოდა ბურჯში დამალვა და ჭსთხოვდა თავის მეგობარს აქვე კედელთან მამყოფა:

ზველემ აუსრულა სურვილი, მეტე გერმასი წაიყვანა და ავიდა ბურჯის თავზედ რომ იქილამ მოხსნივოს მტერი.

რწამსაც ჰველე მოშორდა, სტეფანე მიუბრუნდა ბერ-მონასრ-ნებს და უთხრა:

— ეს ქვები ვერ გაუმჯობიათ რივიანად და მე თუძცა ღონე მოკლებული ვარ, მაგრამ მეც კი შემოდინ შათი გადმონგრევა. რა-ცა საქმე რძხედ მივარდება, ჩემი ბებერი რძში გამონდელიც თვალე-ბი, ესლად დაძღურებულნი, თქვენის საკუთარის თვალების მოწყლე-ბით, ცოტას რასმეს გამოცადებთან რძშიმე. ყველასედ უწინარეს აქ ერთი უნდა იყოს ბძანებელი, რომელსაც ყველანი უნდა ემორჩილე-ოდნენ, თუ გინდათ, რომ იმ ავსაყებს ავვილად არ დარჩეს გა-მარჯვება.

— შენ, ჩვენო ძმაო, უძასუნა სიბიელმა: ჯარში სამეფოვი კა-ცი ხარ და ამ ბოლონდელს მტრის მოსევასედ შენი ვაჟ-კაცობა და საომარი ხერხი დაამტკიცე კიდეც. იყავ ბძანებლად ჩვენდა!

სტეფანემ დაღონებით გაიქნივა თავი და უთხრა: მე ხმა დამი-უძღურდა გულში დაჭრილობითა და ხანგრძლივის სხეულებითა. ისი-ნიც კი ვერას გაიგებენ ჩემთან რძის ჯანა-ჟუნში, რომელნიც ჩემს ახლო იდგებიან. მოდით, ჰველე ამოვირჩიოთ უფროსად, ის ღონიე-რია, ფრთხილია და ვაჟ-კაცია.

ბებრი ბერ-მონასრთაცანი დიდხანია უეურებდა ჰველეს რა-გორა თავის იმედს უოკულს გაჭირებაში, რადგანაც ყველასაცან ჰა-ტრეცემული იყო და ბევრს შემთხვევაში გამოეჩინა ღონე და გამოე-დაობა; მაგრამ ამხანად ერთმანეთს შეხედეს ცალცებით, ქვეით და უგამყოფილობით.

სტეფანემ შეატყო იმით ეს ამბავი და უთხრა:

— მან შესცოდა და ღვთის წინაშე იგი რასაკვირველია, უგა-ნასკნელის თქვენს შორის, ხოლო ვაჟ-კაცობით და ღონით ყველასედ პირველია. რაკი იმის იწუნებთ, აბა მამ კის გინდათ უფროსობა?

— ორიონი დაკაუნოთ, ორიონი! დაცხა ერთმა განდევნილმა: დიდნი ანის და ღონიერიც. თუ მოინდომა...

ორიონმა უანი ჭსოქვა და ორცა ანდრამი და ილსუმსც თავი-
დამ მოიშორეს ეს ძნელი მოვალეობა, სტეფანემ ჭსოქვა:

— აი ხომ ხედავთ სხვა გზა არ ანის, ისევე ჰვალეს უნდა
ჭსოხკოთ უფროსობა მიიღოს მინამ მტერი კარზედ ბეძგობა, ში-
რე გი ადარ. აი თვითონაც მოდის. ვუთხრა თუ არა?

თუმიც ვეულებამ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, მაგრამ ძალა-
უნებურად გი, უსიამოვნოდ. ჰვალემ, რომელსაც ჭსწუროდა თავი
დაუღვა და სისხლი დაეღვანა უძღურთა დახსნისათვის და რომელიც
ათიცხებულ იყო ომის სურვილითა, მიიღო სტეფანეს წინადადება,
როგორც თავის-თავად საგულისხმეა, და შეუდგა საქმეს, როგორც
სადალი, თავის იმედ დაკარგულ მომხრეთა შორის.

ზოგი გაჭვსავნა უარულად ბურჯან თავზედ, ზოგს ქვის ამო-
წიდა შუუგეთა, ზოგს კიდევ უბძინ ქვები და ხეები დაგოროთო,
ორცა მტერი მოგვადგობაო. უფრო სულ-დაცემულთ ჭსოხკა ერთად
მოაუროთ თავიო, იღონეთ მეომართათვისაო, იგაღობეთ საგაღ-
ბეღნიო და ვეუღას აცოღანა თავისი ნიშნები, ომისათვის საჭირო.
ჰვალე ხან იქ მივარდებოდა, ხან აქ, საქმობდა დიდის გულ-მოღო-
ნებით და მხიარულებით ასე რომ თავისი მხიარულებს და იმედი
მშვიდობით გადაწინის მხთლებსც გი შეჭვარა.

ამაობაში გერმასი გამოკსაღმა ჰვალეს და თავის ძამას, რადგა-
ნაც მოკისმა ხმა სარმანის საუვირისა და დაფის ტემისა. ეც ხმა იმ
ჯარისა იყო, რომელიც, ფეხიცის წინამძღვარობითა, გამოვიდა სოფ-
ლიდამ მტრის დასასხედრად. გერმასმა იცოდა საცა არიან ბლეშიელინი
და წაწმისც მივიდა ჯართან, მაშინვე აცოღა ფეხიცის.

ფეხიციმ მაშინვე იცნო გერმასი, რადგანაც, რაიტაში რომ პირ-
ველად შეხვდა, მას აქედ ვეღარ დაევიწყო გერმასის თვალები, რომელ-
ნიც გლიტერის თვალეს ძლიერ ჭკვანდა. ფეხიცი მოკლედ ჭკითხავდა
ხელმე გერმასს და გერმასიც სწრაფად და ცხადად აძლედა მასუს

და ჰასუნის გვარად ფეხბრუნე აქვეყნა მსჯელოთ რიგისა და გონიერს ბძანებასა.

ერთს მესამედს ჯარისს უბძანა წინ წასვლა დაფის და ბუკის ცემითა ვიდრე მტერს წინ შეესლებოდნენ და როცა შესვლებოდნენ უკან დაიწითო ბურჯისაკენა. თუ ბლეშმიელნი ამით მოტყუებდნენ, მაშინ მეორე მესამედი უნდა დაეცესო მემარცხენე ჯარს მტრისას, თვითონ მე კი დანარჩენის ჯარით ჩავსაფრებოთ კლდის იქით, საცა ბურჯი და უეცრად გამოვალ და დავეცემო. გერმას კი უბძანა, წაიყვანე კელაჲ რამდენიმე კაციო, წადიო და საცა იცოდე, იქ რაც ნაკები აქვთ ბლეშმიელებს სულ წყალში დანთქეო. თუ განჭვინებოდა რამე, ფეხბრუნის შექმნა ცინეში შესულიყო და იქ განაგრებოდაყო, ვიდრე სხვა მხრებიდამ ჯარები მოეშველებოდა, რადგანაც უველგან გაეგზავნა კაცები.

ბძანება ფეხბრუნისა მაშინვე აღსრულებაში მოიყვანეს. გერმასი გაუძღვა თავის ჰატარს ჯარს ისეთის თავმოწონებით, თითქო იმზე-რატორის საზღვლია და შეჭევს მისი ლეგიონები ომშიაო. სურგზედ კვიდა შეიღდი და ისრები და ხელში ეჭირა ნაჯახი, რომელიც რაიტში უყიდნა.

შირისმსაც უნდოდა თან-განჯელოდა გერმასის ჯარს, მაგრამ გერმასმა შეამცინა ეს და დაუყვირა: „ბურჯში წადი, სულელო, ბურჯში მამა ჩემთან“ მწეშისი-ქალი მაშინვე დაემოხრჩილა.

მეუღაბნოენი ცინისანი მოგროვდნენ გადმოსახედავსედ და იქი-დამ დანახეს, რომ ჯარი მოდის. დაიწეეს ევრილი, უძხოდნენ ჩვენ მოკვეშეულნიოთ, მაგრამ ვე იმედი ძალე გაჟმტეუნდათ, რადგანაც ჯარები თავის გზასედ წავიდნენ.

სტეფანემ ქსთხოვა ჰავლეს ერთი შემატეობინე ის ჯარები საით მიდინ და როგორ დაუფილან, მე იქამდი თვალი არ მიჭრისო. ჰავლემ უამბო რაცა ნახა და სტეფანე როგორც გამოცდილი მემამონი მისვდა უკველს დაწეობილობას ცენტურთონისას.

ახლა გერმასის ჯარისა აუარა გვერდსედ ბურჯისა და ემაწვილმა-

კაცმა ნიშნითა და სიტყვითა მოკითხვა და სალამი გაუგზავნა მამას. სტეფანემ, რომელსაც უური უფრო უჭრიდა ვიდრე თვალი, იცნო შვილის ხმა და რომდენადაც შეეძლო ხმა-მადლა გამოემშვიდობა შვილს მამობრივის ღონისობითა და გუწთხევითა.

შავლემ მოხუცის ცქელი ღონისობა და გუწთხევა ერთს სიტყვაში გამოჰქვია, ზედ დანათა თავისი დაღონისობა და გადწმინდა თავის მეგობრის შვილს საომარად მიმავალს. გერმანისა მოისმინა ყველა ეს და თუმცა ძალიან მოხუცად გულს მამის გამოთხოვება და შავლესი, მაგრამ ვერა უმანუხა რა სიტყვით და მარტო ნიშნებით გამოქსთქვა ამ გამოსალმების შესახებ. მშობელი შავლე იშვილის ხელში თუნდ ხათს სიტყვას გუწთხევისათვის—ვიდრე შვილი ერთს სიტყვას მადღობისას.

როცა გერმანის კლდეს მიეფარა შავლემ უთხრა:

— შენი შვილი ისე მიდიოდა, როგორც ძველი გამოცდილი ჯარის-გატი და სხვანი ისე მიხდებოდნენ, როგორც ცხვარი ბელანს ყოხნს, ეჭა—გერმანის? უთუოდ შირკელი გუნდი ჩვენების ჯარისა დატრაკა მტერს. აგე ხმაურობა და კიყინა უფრო ახლა და ახლა მოდის.

— მგონი ესაა საქმე კარგად დახლავდეს, ქსთქვა მხიარულად სტეფანემ: თუ ჩვენებმა როგორმე შემოიტყუეს აქედ ვაკვსედ, მე მგონია მტერმა საფლავი აქ გაითხაროს. ჩვენ აქედამ შეგვიძლიან თვალი ვადგინოთ ომის მსგულელობას და თუ ჩვენებს საქმე გაუჭირეს,—ესეც კი მოსალაგდელია—მამინ ჩვენები ციხეში მამოცვივიან. მაშასადამე ქვების წინამხა სრლას და უბრალოდ ხარჯვის უნდა მოკერიდნეთ, იმიტომ-რამ თუ ჩვენს ბურჯხედ მოდებენ საქმე ქვები ძალიან დაჭსჭირდება ჯარს.

ამ სიტყვებს ზოგიერთმა შეუდაბნოემ უური მოჰქვია და როცა ომის ხმაურობა და შეომართა კიყინა ახლა მოისმია, შეშინებულთ შეუდაბნოეთა თავი დანებეს თავის ადგილებს, დაწვეს ტყუილ-უბრალო ფანა-ფურცი, წინა და უკან რბენს, თუმცა შავლე ჯარობდა მამ-

ზედ. ამით პავლეს სიტყვა ან დაიჯერეს, წავიდნენ ჩადგნენ მოხუცებულში და უძღუოებში და მოჭყენენ ტირილით ღოცვას და თავში ტემის. პავლე ჩადგა მათ-მორის შუაში, დაიწყო გაკიცხვა სულ-მოკლეობისათვის, ტკბილის სიტყვით ემუდარა თავიანთ ადგილზედ დაბრუნებულნი და აღმოსავლეთის მხრივ კედელი მანც გაემაცრებინათ. ზოგნი დაემოწმებდნენ კიდევ, მაგრამ როცა დაპირეს ასრულება, უგრძელად მოესმათ ბურჯის კედლის ძირში ერთი საშინელი ღრიალი და გაიყინა ბლემიელების, რომელნიც უგან მოსდევდნენ გამოქცეულს ჯანს ცენტურნიონისას.

ზარ-დაცემულნი ისევ ერთი-ერთმანეთს მიეკვრნენ შეუდაბნოენი. სირიელმა სალატიმ გაბედა, ამოუდგა უგან სტეფანეს და ძირს გადინედა. გადახედისაკე უმაღლ, ციბრუტივით მოტრიალდა შეშინებული და კანკალით დაიძახა: ვაი! ჩვენები გამოუქცევიათო. — გელაწიმი ამ ამბავზედ გულში ხელი ჩაიკრა, წავილა თქვამში ხელი და გელ-ამომჯდარმა დაიჟინა: „ღმერთო, რაი გწადიან ჩვენგან? ნუ თუ წასაწყმელათ გამოკვიმეტე და არა გსურს შევლას ჩვენი? ჩვენი რომ წარმარმართებმა დაგვამარცხონ, მაშინ უღმერთობა და თვით-რჯულობა დაიქადეს თავის ძლევა-მოსილობას მართლ-მადიდებლობაზედ და ჭეშმარიტებაზედ.“

პავლემ რომ ვერა გააწყო რა, დასნება ამით თავი, მივიდა სტეფანესთან და დაუწყო ყურება ომს. ბლემიელები ბევრი უოფილიევენენ, იმათი იერში ისეთი ძღაუნი იყო, რომ ჯანი ვერ გაემაცრდა, უგუიქცა და მიმწყვდეთუ იქმნა იქ, საცა გზა კიწრუდებოდა.

— საქმე ისე ან მოდი, როგორც იმედი გქონდა, ქსთქვას სტეფანემ.

— ამ მხდალმა ხრავამ, ამ პირუტყვებმა კიდევ, დაიყვირა პავლემ გულზე მოსულმა: დასნებეს თავი თავის ადგილებს, ბურჯის კედლები უგაცოდ დასგდეს და იმის მაგიერ რომ ან კედლები გაიმაცრონ, ან იომონ, აქ დამდგანან და ღმერთსა ჭემობენ.

მეუღდბნობმა შეატყეს რომ ჰავლემაც იმედი გადიწეოდა ამით გამე და მათ შორის სერგოიმ დააყოინა:

— ნუ თუ მართლა იმედი აღარაურისას! რატომ არ ჩამოვარდობა ციდან ცუცხლი და არ შთანთქმავს ჩვენზედ მისეულს ვასხაკებს? რადა მდუმარებს ჭექა ქუხილი? სად არის მესი, რომელიც ანათებდა სინაის წიკრსა? რატომ მზე არ დაბნელდება, რომ წარმარებეს თავზარი დაჭსტეს? რატომ დედა-მიწა არ გაიწღვევა, რომ ისინი თანხაიტანოს, რეგორც....

— ძალა უგულისა, ჭსთქვა დუღასიმ: გაუქმდა ჩვენთვის. დმერ-თმა აიღო სედი ჩვენზედ, თითქო ჩვენ დიხსნი არ ვაუხეტო!

— არცა ხართ დიხსნი, არა, შეჭსძახა ჰავლემ, რადგანაც უური მოჭკრს უგანასეგულ სიტყვებს, რეცა მიჭყვანდა, ანუ უფრე მიჭქონდა სტეფანე აღმოსავლეთის კედლისკენ, რომელიც სულ უგანოდ იყო დაკდებული: დიხს, არა ხართ დიხსნი, არა, რადგანაც იმის მაკიერ რომ მტერს წინა-აღუდგოთ, თქვენ ჭკომობთ დმერთსა და თავზედ ლაფს ისხმით თქვენის სახიზღარის ჯახნობითა. ამ სნეულის მახუცისა შანინა ცტხვენოდეთ! აი ეს ანირებს მტრის ხელისაგან დაგიფარათ თქვენ ესლავ დემოწილიენით უდრტვიგედად ჩემს ბძანებას. თორემ, ვიარაც უოკელთა წამებულთა წმინდა სისხლსა, რომ თებში და უურებში ხაცავლებთ ხელს და ისე მიგათრევთ თქვენს ადგილებამდე და....

არ დასრულა მუქარა, რადგანაც ძლიერმა ხმამ გაწევეტინა სიტყვა. კედლის ძიწიდან ამოვიდა ის ხმა და ჰავლეს სახელი ასუნა.

— აღაბიტი ბძანდება! ჭსთქვა სტეფანემ: თხრილზედ ამიყვანე ჰავლეუ და იქ დამსვი.

ვიდრე ჰავლე ამას აუსრულებდა თავის მეკობანს, აღაბიტი გვერდთ ამოუდგა კიდევ.

აღაბიტი ვმწვიდლობაში ჯარშია უოგილა: ესლავ რაღაც შეეტყო მტრის შემოსევა, შინ ჯდომა ვერ მიათმინა, უბძანა დედლებსა და დიაკენებსა დედა-განცობი და წვრილ-თებობა სულ საუდრებში დახიხნე-

თა და იმათთან ერთად იღვრეთ მეომართათვისა. თვითონ კი ორნი თანა-შემწე და ერთი გზის მტოდნე წამოიყვანა და წამოვიდა, რომელიში დაესწროს. ორცა თავისიანებსა და სხვა მღვდლებსა დაუშალეს, უზასრუს: „სადა სამწესა, იქ უნდა იყოს მწუქმნიცა.“

რისხვით ანთებულას თვალით იღვას ექლა ენისკობრნი ჰაკლეს წინ, წყრამით აიღო ხელი მძლვას, დაემუქნა და უთხრა:

— შენ როგორ ჰბედავ — შენ, განდევნალა მართალთაგან — რომ მაც სახით ელამარაკები ძმთა შენთა? შენ, ეშმაკის თანა-მოზიარე როგორ ჰბედავ და ბძანებას ჰკადრებ ღვთის მსახურთა და მოსაკათა! ოსსაკვირველია, შენ ძაღვან გენდომეის მაც საფაღანო. ჰკლავებითა ხელახლად დაიბრუნო სახელი და დაფება, რომელსაც გამოაკლდა შენი სუფი, დაუძღურებული ცოდვითა და ბრალეულობითა. შე მომწყვეთ, ძმანო ჩემო, უკალი ჩვენთან არს და იგი გვიხსნის ჩვენ!

ჰაკლემ ხმა-ამოუღებელი მობიზინა სიტყვანი ენისკობრისა და სხვათა ძეუდაბნოეთა ჰებრ თვითონც აიბერო მძლვას ხელნი, ორცა აღაბიტი ჩაღვას მათ-შორის და წამოიჭსთქვას მოკლე და ძლიერი ღოცვა. მერე ენისკობრმა, საზღაღვანაჰებრ, ყველას თავისი ადგილი დაუნიშნა ბურჯის კედლებზედა და აიგა როგორ მოაქცნენ და ხმა-მძლვას დაიძახა;

— დაამტკიცეთ, რომ თქვენ ხართ მსახურნი უფლისა!

ენისკობრის ყველას დაჰმორწილდა და ორცა თვითუფლმა თავ-თავის ადგილი მოიჩიკა, თითონ ენისკობრნი გადადგას იფრდობზედა და დათვალიერა სამარა ადგილი.

ომის საქმე ეხლა კარკად მიდიოდა. ორცა ჯარმა უგან დაიწია და ბლეშმიელებიც უფრო გაბეჯათ მოაწუნენ, მაშინ იუბიცი უცრად გამოკარდა თავისიან ჯარით საფარნიდამ, თავ-დაუსხა ბლეშმიელებს, ასეთი ყოფა დაწია, რომ ბლეშმიელების ჯარი შუა გააზო და საშინელი ხოცვა და უფლტა დაჰმართა ბლეშმიელებს. იმათ მოთაგებებს დაინახეს თუ არა, რომ საქმე ცუდად არისო, შეჰქმენეს ერთი უცნაური ძახილი

და შეის მთელი მათი ჯარი, როგორც ბუმბულის კანა ქარისგან, გაიშალა და სხვა და სხვა მხრივ გაიფანტა,

აღაპიტმა კვ სამხარი სერხი ბლემბიელებისა გაქცევით მიიღო, გულ-დამშვიდებით ამოისუთქა, მობრუნდა, დაპინა ბურჯიდან მინდორზედ გასულა, რომ ნუგეში ჰსცეს დაჭრილთა თანა-მოწმუნეთა. მაგრამ თვითონ ბურჯშია ცამოუნდა საქმე სასულიერო. წინ ედგა მიწაში, რომელმაც რადიო, მაგრამ სხარტად, სწრაფად მოახსენა:

— სწული სტეფანე, ძამა გერმანისა, გთხოვთ ბატონო ეპისკოპოსო, მობძნდეთ იმსათხან, რადგანაც წყლული ხელახლად აეშალა და ჰგონია, რომ სულის დაღვეის დღე მოახლოება.

აღაპიტმა მძინეუ გაჭსწია სწულისაკენ; მივიდა და ნახა რომ ჰავლეს და ორინის შეუხვევით გიდეც წყლული. ეპისკოპოსმა ისეთის ჰქმნატიის გულ-მტოვიულობით მოიგითხა, როგორცათაც ან მოიგითხავდა ხელმე ბეგრს სხვას მეუდაბნეს.

სტეფანემ ხელი გაუწოდა, ეპისკოპოსი გვერდით მოჰყვდა, უბძანა იქ მდგომთ, მოგუმოწაით და ურადლებით დაუგდო ყური სწულის დაბალ-ხმით მოთქმას.

როცა სტეფანემ გაათავა თავის-თავის ამაპი, აღტაცებით უთხრა:

— მე როგორც შენ ვადიდებ უფალსა, რომ შენს დაკარგულს ცრულს გზა სიმართლისა აზოვნინა და შენი შეილიც, ღვთის მადლით, იმისთანავე კარგი მომანი შეიქმნება, როგორც შენ იყავ. შენი სასქაო ცხოვრება კეთილად იყო მოწეობილი, ხელთ შეიქმნა, სავგუნდ ცხოვრებისათვის როგორ მოამზადე თავი შენი, ხემო ძმაო?

— მე მთელი თქვამეტი წელიწადი მანხულობაში, სინანულში და ლტოვაში გამოიტარებია, უთხრა სტეფანემ: ბეგრი ტანჯვა გამომივიღია. მე ზურგით უკან დამიგდია ეს ქვეყნიერობა და იმედი მაქვს გამეხსნას გზა, მიმავალი ტისაკენ.

— მეც მაგას ვიმედულობ შენთვის და შენის სულისათვის, უბსუნა ეპისკოპოსმა: შენ ბეგრი მძიმე საქმე გადაგხდია ამ წუთის-

სოფელში. ცდილხარ, რომ წრფელის გულის მიუტყვე მათ, ვისაც უკვლავად დიდი მწუხარება მოუყენებია შენთვის და შეგიძლიან გულმართლად ჰსთქვას ეს: „და მომიტყეე ჩვენ თანამედრობნი ჩვენი ვითარება ჩვენ მიუტყვებთ თანამედრობთა ჩვენი.“ ხომ განსოვს სიტყვანი სამღვთო წერილისანი: „უგეთუ თქვენ მიუტყვებთ კაცთა ცოდვითა მათთა, მოგიტყეებთ თქვენც მათ თქვნი ზეცვიერი.“

— გლიცერას აწამც თუ მიუტყვეე, უზასუხს სნუელმა: აწამედ ხელახლად გადუშალე სიღრმე გულისა ჩემისა; ხოლო იმ კაცს, რომელმაც ურცხვად აიფლია იგი, იმ ბედ-შავს, რომელმაც, იმდენის ჩემიერ სიკეთის ნაცვლად, მომატყუა მე, გამცარცვა, თავ-ლათი დამასხა, იმასაც...

— უნდა მიუტყვეო, უთხრა ალაბიტმა: რომ შენც ეოკელივე მოგეტყვოს.

— მე აი თვრამეტი წელიწადია ვცდილობ დაგლოცო მტერი ჩემი და ამას იქითაც ვეცდები....

აქამდე უბისკობოზი მარტო სნუელის ღამანაკში იყო გართული; ესლა გი ეოკელ მხრივ ამას უწოდენ და ბოლოს გელანნი დანუძსა:

— გვიშველე, მამაო! წარმართნი კლდეზედ ამოდან.

ალაბიტმა აკურთხა სტეფანე და ხელახლად გულ-წრფელობით უთხრა:

— მიუტყვე და ზეცა შენის!

მინდოდაზედ ბეგნი დახლოცილი და დაჭრილი ეუარა. ჯარი ისევ უგან დაწეულიყო ბილიკისაკენ, რადგანაც ბელემიელები არ გაქცეულიყვნენ გი, აწამედ გაფანტულიყვნენ, ამოსხლამოდენ კლდეებს და იქიდან აურიდენენ წვიმასავით ისრებს.

— რომელნი სადარინან, ჰკითხა აჩანკებით ალაბიტმა ორინოს.

— ხეობისაკენ დაწიეს, უზა რომ მოდის ჩვენკენ, უზასუხს ორინოსმა: ერთი შეხედე მაც წარმართებს! დმერთო, შეგვიწვალე! ისე მობობლამენ კლდეებზედ როგორც კოსალა ხეზედ

— ახა თქვენი ჭირიშე ქვები, ქვები! დაუეიწა ალაპიტმა იქა მდგომს შეუდაბნოებს: — ქვეით კედელთან ვინ არის? გესმისთ? რამა- ელების საყვირის ხმაა. გული მოიციოთ, ძმანო, იმპერატორის ჯარო მოადგა ჩვენს ბურჯს საშეკლად. ახა აქეთ! აა ხომ ხედავ სხანთური- დამ ტანშიშეკლა გარებს, ბლეშმიელები არიან. ახა მოათრეთ ხე და დაუშვიოთ ძირს. ჭო, ეგრე, უუურეთ ეგ ხე რასა იქმს. ნეტავი ხე არას გამოედოს ვი! მადლობა დმერთს, არამ დაუშალა, და დეცა! აა ეგრე უნდა, აი! ექვის გაცი ვი გამოასლამა წუთის სოფელს და!

— აი იქ კიდევ სხმი გაცი ჭხხანს, დაძახა რაინომმა: ახა კრ- თი მიშველეთ, ხე დავნეთ თავში.

